



ნომერში:

**ელენე
ახვლედიანი—
თბილისის
ტრუბადური**

8-4 გვ.

**ჩვენებური
ებრაელები—
ამ სიყვარულში
გასაოცარი არაფერია**

7 გვ.

**გაგივიანთ
სუ-ჟოკ თერაპია?
აბა სცადეთ!**

8-9 გვ.

**პადეგოგი გვევლინება
პარ. გვერდებსა?**

12-18 გვ.

**დოდო ნინიაძე:
ჩვენი ქვეყნიერება არა**

14 გვ.



ქვე სოფ

შურნალი გაპოიმა ი.
შორღანიას სახელონის
აღაშიანის კაროლუ-
შიის საჰეინირო-კ-
ლეშით ინსტიტუტისა
და კროგრაშის „რკ-
როლუქტოლოგიის გან-
ვიტარება საქაროქელ-
ოში“ ნაწილოგრიპი
ღახარაგით.

საქართველოს რესპუბლიკის
ეურნელი ქაღებისა და
ოჯახისათვის

მთაჰარი რეპლაქტორი
ნარბიზა გგელბაქ

სარადჰაქიო კოლეჰია:

ნანული შჰარღანაქი
ჰარიჰა ჰარათაშვილი
ნაწი თარბაგაქი
ლია ჰაჰაგაქი
ნანა როგლაქი
გინარა ტარეჰაქი

(შხატრული რედაქტორი)
ირჰა წოვიჰაშვილი
გინო ჯაჰახიშვილი
ჰიმა ჯაჰარიგა

ტექნოლოქორი ნანული ჰუჰია

გარეჰაინის პირეჰა და გე-
ოთსჰ გჰარღბეჰა კაღიბა-
რი ჰჰიჰეჰან შჰარბაშვილი.
განსალა იმ. 12 გგ.

ღაჰუჰენბეღი - შურნალ
„საქაროქელის ქალის“ რე-
დაქცი და შურნალ-გაჰუ-
თიგის გჰოგენეჰოლა
„საშოგლო“.

შურნალი გაპოიმა 1923 წლიღაღ

საქაროქელის შურნალ-გა-
ჰეთიანის გაპოქეჰოლა
„საშოგლო“.
მ. კოსტაჰას ქ. № 14.

“Sakartvelos Kali”
a Magazine for Woman of the
Republic of Georgia
Georgian Woman

მთელ მსოფ- ლიოში აქტიური გახდა ქალთა უფლებე- ვისათვის ბრძოლა



სროგრამის მიზანი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაზრდა და მათი მონაწილეობის გააქტიურება პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში. პროგრამის შინაარსი პირდაპირ უკავშირდებოდა მონაწილეთა საქმიანობას, მსგავსი ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის გაცნობას და მიღებული გამოცდი-

ლების დანერგვას საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საშუალო ურთიერთობების დამყარებას ჩვენსა და იქაურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ჩვენი ჯგუფი დაყოფილი იყო ოთხ ქვეჯგუფად ინტერესების შესაბამისად (ბიზნესი, ჯანმრთელობის დაცვა, ადამიანის უფლებები, სოციალური უზრუნველყოფა).

სტაჰირების პირველი კვირა გავატარეთ ვირ-

ჯინიასა და ვაშინგტონში. ჩატარდა ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების, გუნდის შექმნის, საზოგადოებრივი მარკეტინგისა და ინტერნეტის შესახებ.

ინტერნეტში ჩვენ გავეცანიო პროექტს „ქალთა ქსელი აღმოსავლეთი და დასავლეთი“ - ელექტრონული კავშირის ორგანიზება. აქ ვნახეთ აფხაზ სეპარატისტთა მიერ გავრცელებული



● ვირჯინია. საქართველოს დელეგაცია მეცადინეობს დროს

მკ.ში მამუანი მკ.

ინფორმაცია, რომელიც ქართულ მხარეს ადანაშაულებენ აფხაზების გენოციდში. აქვე მოვიხივთ ქართული მხარის მიერ გავრცელებული მასალები აფხაზეთში კონფლიქტის შესახებ ფოტო მასალებით.

ხუთი დღე ჩვენი შიდაკაციანი ჯგუფი ნიუ-ორკში მუშაობდა. აქ ჩვენი მასპინძელი იყო ამერიკელი და რუსი ქალების ალიანსის ვიცე-პრეზიდენტი ქ-ნი გრეის ქენანი. მან თავის სახლში მიგვიღო. მიღებაზე იყვნენ სხვადასხვა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი ემიგრანტი ორინა პოპი-ამელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ცენტრის თანადირექტორი ბატონი პიტერ გენრი ჯუვიელი, რომელიც ძალიან დაინტერესდა აფხაზეთის საკითხით.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ნიუ-ორკში ქ-ნ გრეის ქენანის არაჩვეულებრივი სიტოპო და კეთილგანწყობა ჩვენდამი და საერთოდ ქართველი ხალხისადმი. მამამისი საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩი ყოფილა, რომელიც 1952 წელს გაუძევაბიათ.

როდესაც სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა შევიცარიამი ჩასულა, უთქვამს, რომ

ის სტალინის შვილია და თავშესაფარი უთხოვია, ამის დასდასტურებლად გრეისის მამა გამოუძახებიათ შვეიცარიამი. მას დაუდასტურებია სვეტლანას სიტყვები და ქალი თავის სახლში მიუწვევია, სადაც გარკვეული დრო ცხოვრობდა კიდევ.

ნიუ-იორკში გავცეანით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. ძალადობით დაზარალებულ ქალთა თავშესაფარსა და ქალთა არატრადიციული დასაქმების ცენტრს. ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება მეკრდის კობით დაავადებულ ქალებს, ამ ორგანიზაციის ფინანსურად მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაცია „სირბილით მკურნალობისათვის“.

ვეწვიეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს „ადამიანის უფლებების დაცვა“ და „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგა“, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ გაეროსთან. ამ ორგანიზაციებში ჩვენ მხოლოდ აფხაზეთის პრობლემებზე ვსაუბრობდით, თუ როგორ ირღვევა უფლებები 300 ათასი დევნილისა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალია. მეც ხომ ერთი იმთავანი ვარ. დაუფიქრეთ თბილისური მასალები კონფლიქტის შესახებ, რითაც ძალიან დაინტერესდნენ.

ნიუ-ორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დავესწარიო სხდომას „ქალთა ხმები ახალ დემოკრატიებში“ და ვენციეთ საქართველოს მისიას, სადაც შევხვდით ბატონებს პეტრე ჩხეიძესა და გიორგი ვოსკოს.

ვირჯინიაში, ქალაქ მაკენინში მონაწილეობა მივიღეთ შტატის ქალთა ცენტრების კონფერენციის მუშაობაში. სექციური მუშაობისას ჩვენი მასპინძლებს სურდათ გაგვით: რა იყო ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში ქალებისა და მათი ოჯახებისათვის და რა რესურსები მოგვეპოვება ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

აფხაზეთთან დაკავშირებით ინფორმაციით მე გამოვედი.

სტაჟირების მესამე კვირას ადამიანის უფლებებისა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეჯგუფებში გავცეანით პროექტ „ქემერს“ ჩიკაგოში, აქ შევხვდით აფოკატებს, რომლებიც უფასოდ ემსახურებიან მინიმალური შემოსავლის მქონე ქალებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლად რომ თვლიან თავს. დავესწარიო თვით სასამართლო პროცესს, სადაც ძალიან მოკლე დროში ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება. ატმოსფერო იყო მეტად თბილი, ყველას მი-

მართ კეთილგანწყობა იგრძნობოდა. ვინახულეთ დაზარალებულ ქალთა თავშესაფარი, სადაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქალებს კონსულტაციებს უწევდა ადამიანის უფლებების, საცხოვრებელი სახლის და საკუთარი თავდაცვის საკითხებზე. გავცეანით ტელიორის სახელობის ინსტიტუტისა და დეფექტიანი ბავშვების სკოლის საქმიანობას.

ამერიკაში წანასა არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე მცირე წლიური ბიუჯეტი 600 ათასი დოლარიდან 1 მილიონამდეა. სხვათა შორის, მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს.

სტაჟირების ბოლო კვირა მეტად საინტერესო და საჭირო შეხვედრებით იყო დატვირთული. სამშვიდობო კავშირების ინსტიტუტის წარმომადგენლები გვესაუბრნენ კონფლიქტების მოგვარების ასპექტებში, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები კი პროექტები - ქალთა როლი კონფლიქტურ ქვეყნებში. მიგრაციის დეპარტამენტში მოვინწყვეს ერთსაათიანი შეხვედრა, იქ მისული ხუთი ქალიდან სამი დევნილი ვიყავით. ჩვენ დეტალურად გავაცანიოთ კონფლიქტის მოგვარე-



ბის გაჭიანურების გამო გამძაფრებული დევნილთა პრობლემები, ჰუმანიტარული დახმარების შემცირება, ჩვენი გულისტკივილი ინვენსტიციების განაწილებისა და მცირე ბიზნისის განვითარებაში დევნილთა გაურკვეველი მდგომარეობის გამო. მათ ყურადღებით მოგვისმინეს და ჩაინიშნეს ჩვენი თხოვნები, დაინტერესდნენ სამშვიდობო ძალების საქმიანობით.

შეგხვდით ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის ემიგრანტ ქალბატონს მარუსია ჭავჭავაძეს საქველმოქმედო ორგანიზაციის „საქართველოს მეგობრები“ ხელმძღვანელს, რომელიც 1994 წელს შეიქმნა. ეს ორგანიზაცია დიდ დახმარებას უწევს საქართველოს ბავშვთა სახლებს. გავეცანით ქალთა დასაქმებაზე მომუშავე რამდენიმე ორგანიზაციის საქმიანობას. ეს იყო ქალთა არატრადიციული დასაქმება ნიუ-ორკში, სადაც ქალთა ასწავლიან ელექტროგაყვანილობას, სანტექნიკას, ხის დამუშავებასა და სამა-

შენებლო საქმეს. ჩიკაგოშიც ძირითადად ქალების გადამზადება ხდება. საქმის დასაწყებად მათ აძლევენ მცირე სესხებს 100 დოლარს, შემდეგ 500-1000 დოლარამდე. რასაკვირველია, სათანადო გარანტიებით.

ლტოლვილ ქალთა და ბავშვთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ქ-ნ ელიზაბეტ შექსონი და საერთაშორისო სამშვიდობო კომიტეტის წარმომადგენელი ქელი სთრიკლანი, თანამშრომლობას დაგვიპრდნენ.

ამერიკაში თან მქონდა წაღებული გიორგი უორჟოლიანის ინგლისურ ენაზე გამოცემული ნივთი „აფხაზეთში კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“, რომელიც გადაეცემა ნიუ-იორკში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგას, კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა შესწავლის ცენტრის თანადირექტორს და ვაშინგტონში ქალთა საერთაშორისო კონსორციუმის „ვინროკ ინტერნაციონალს“, აქვე

დადგოვეთ ამერიკის სისტემაზე გადაყვანილი ჩვენი კასეტა „შეთქმულაბა საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც გადაეცა ვაშინგტონში ჩვენს საელჩოს. ბატონი თედო ჯაფარიძის მუღულე დაგვიპრდა, რომ ინგლისურ ენაზე გააკეთებდა ტექსტს, რომელიც შემდეგ უნდა გადაეცა ნიუ-იორკში გაეროში ჩვენი მისიისათვის, ქალთა კონსორციუმში ამ კასეტას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებშიც გავავრცელებს. ვფიქრობ ამით ჩვენი ამერიკელი მეგობრები ბევრ პრობლემას სულ სხვაგვარად დაინახავენ.

სტაჟირების დასასრულს „თრინიის“ ქალთა კოლეჯში, რომელიც ვაშინგტონის ჩრდილოდასავლეთითაა და დაარსებულია 1897 წელს, გაიმართა დასკვნითი ცერემონია. ამ კოლეჯის მიზანია განათლებაზე ყველა ასაკის ქალის მოთხოვნილებების განსახლწრა. აქ სხვადასხვა პროგრამით 1500 სტუდენტი სწავლობს. მას მინიჭებული აქვს საუკეთესო კოლეჯის წოდება, 1989 წლიდან კოლეჯის

პრეზიდენტი პატრენცია მაკკვერი, რომელიც ამჟამის განათლების ასოციაციის თავმჯდომარეა.

ამერიკაში ვიზიტის დროს ქალბატონი ნანუელი შვეარცნაძე ამ კოლეჯში მიხვივის.

სალამოზე ჩვენს ჯგუფთან ერთად მინჯელი იყვნენ ამერიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ქართველი ემიგრანტი ქალბატონები: ლილი შიუკაშვილი და მარუსია ჭავჭავაძე. ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მეტად გულთბილ ვითარებაში მოეწყო სერთიფიკატების გადმოცემა. გამოითქვა შემდგომი ურთიერთობების დამყარების, სტუდენტების გაცვლის სურვილი.

ამ ვიზიტმა ბევრი რამ გვასწავლა და ვფიქრობ ჩვენმა ჩატანილმა ინფორმაციამ ზოგი მტკივნეული საკითხი ახლებურად და, რაც მთავარია, მართებულად დაანახა ჩვენს მასპინძლებს.

ეს არის ასეთი პირადი კონტაქტების დიდი მნიშვნელობა.



● ვაშინგტონი. კონფერენციის მონაწილენი



თბილისის მრეხადური

გასული საუკუნის დასასრულს ორი წელიდა აკლდა, როცა თელავში, სამხედრო ექიმის დიმიტრი ახვლე-

2 11/8

დიანის ოჯახში დაიბადა ქალიშვილი, რომელსაც ელენე დაარქვეს. ბავშობაში გოგონას მუსიკა უყვარდა, მაგრამ შემდგომში ხატვამ გაიტაცა. საათობით უცქერდა კავკასიონის თოვლიან მწვერვალებსა და ძველი ეკლესიების გუმბათებს, საკულტო დღესასწაულებზე თავშეყრილ ხალხს.

მოვეიანებით ალექსანდრე ახვლედიანი სამუშაოდ თბილისში გადმოიყვანეს და ელენე გიმნაზიაში შეიყვანეს სასწავლებლად. იქ ხატვის მასწავლებლად მისი მეზობელი, იმ დროისათვის უკვე ცნობილი მხატვარი ნ. სკლიფასოვსკი იყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ელენემ სწავლა ამ მხატვრის კერძო სტუდიაში განაგრძო.

1919 წელს თბილისში მოწყობილ ქართულ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე ახალგაზრდა მხატვარი პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების სამჯავროზე. პრესამ მისი ნამუშევრები საინტერესოდ მიიჩნია. ამ წლიდან მოყოლებული, იგი აქტიურად ჩაება საქართველოს მხატვართა საკმიანობაში.

1922 წელს ქ-ნი ელენე თბილისში ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შევიდა, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელი სახელგანთქმული მხატვარი, პროფესორი გივთ გაბაშვილი გახლდათ. აკადემიის სწავლის ხანმოკლე პერიოდში იგი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა ბო-

რის ფოგელთან, რომელსაც ახალგაზრდა მხატვრები ჯგუფ-ჯგუფად დაჰყავდა თბილისური პეიზაჟების ჩასახატავად. ამ გასვლებმა ღრმა კვალი დატოვა მხატვრის შემადგომ მუშაობაში. ძალე მას,



როგორც უნიჭიერეს სტუდენტს სწავლის გასარქმელებლად იტალიაში აგზავნიან, სადაც 1924 წლამდე დაჰყავს. იტალიაში ყოფნისას უნახავი არ დარჩენია თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მუშეუმი, არცერთი ისეთი ქალაქი, რომელიც მსოფლიო სახვითი ხელოვნების შედეგების ნაესაყუდედღეა. ქ-ნი ელენე უაძრავ გრაფიკულ ჩანახატს აკეთებდა, 1924 წელს იგი უკვე პარიზშია, სადაც 1927 წლამდე კოლოროსის სამხატვრო აკადემიის ე.წ. უპროფესორო ჯგუფში მეცადინეობდა. მას ხშირად ხედავდნენ პარიზის ვიწრო ქუჩებში და კაფეებში, ხიდებზე, ხალხის თავშეყრის ადგილებში. ამ აკადემიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნახატების (კროკების) სახელდახლოდ შესრულებას, რაც ავლენდა მხატვრის ხელისა და თვალის სწრაფი მოქმედების უნარს. ამ პერიოდში შექმნილი მისი ნატურები რეალისტური ხედვითაა შესრულებული.

პარიზში ჩასვლის პირველსავე წელს ქ-ნი ელენე თავისი რამდენიმე ნამუშევრით წარსდგა დამოუკიდებელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფერწერული ტილო - „ზამთარი კახეთში“. პეიზაჟი ძალზე მოსწონებია პაბლო პიკასოს და ელენესათვის უთქვამს, მომწონს და მომყიდეთ: ელენეს უარით გაუს-

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მისი მემორიალი



ტუმრები მხატვარი, „მეც ძალიან მომწონს და არ ვყვიდო“. ეს ნამუშევარი დღესაც ერთი საუკეთესო ექსპონატია ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციაში. ამ გამოფენიდან მაინც გაიყიდა ახვლედიანის ორი პეიზაჟი თბილისის თეატრზე, რომლებიც ცნობილმა მხატვარმა პოლ სინიაკმა შეიძინა.

1927 წელს დედის ავადმყოფობის გამო ქალბატონი ელენე თბილისში ჩამოვიდა. მალე კი საანგარიშო გამოფენებით წარსდგა თბილისში, ქუთაისსა და თელავში. ქუთაისში მხატვარი ქალი გავიენა ქართული თეატრის რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც თავის თეატრში მხატვარ-დეკორატორად მიიწვია. აქედან დაიწყო მისი, როგორც თეატრალური მხატვრის საინტერესო შემოქმედება. მთელი სიცოცხლის მანძილზე მან ოთხმოცზე მეტი სპექტაკლი გააფორმა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

ელენე ახვლედიანი ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია როგორც პეიზაჟისტი მხატვარი, არ გამოჩენია საქართველოს თითქმის არცერთი კუთხე, თავისი მადლიანი ფუნჯით ტილოზე რომ არ გაეცოცხლებინა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და ახლობელი მისთვის მაინც ძველი თბილისის უბნები გახლდათ.

ერთხელ საგაზეთო წერილს ვამზადებდი და ვკითხე: – ქ-ნ ელენე, რა არის, რომ აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია თბილისის თემით ხართ დატვირთული მეთქი. მან თავისებურად შემოძირტა და მითხრა: – ვერა ხელავ, რა ხდება არგვლივ? ამბობე? შენობათა რესტავრაცია მიდისო, სინამდვილეში კი ეს ნგრევაა. მე კი მინდა, რომ ახალ თაობას და მათ, რომელნიც ჯერ არ დაბადებულან, ჩემს სურათებში ნამდვილი ძველი თბილისი შემოუნახოთ. ეს პართლაც ასე იყო. მაშინ ისიც მითხრა ქ-ნმა ელენემ – მე და სოსო გრიშაშვილი ლამაძობით დავდიოდით ქალაქის ძველ უბნებში და ნგრევის პირას მისულ შენობებს დავტიროდიოთ. სწორედ თბილისური პეიზაჟებისათვის მიენიჭა ქ-ნ ელენეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

1975 წელს დეკემბრის მიწურულს ფინანსთა სამინისტროს შენობაში ე. ახვლედიანისა და მისი ჯგუფის (რომელშიც დღეისთვის საკმაოდ ცნობილი მხატვრები მონაწილეო-

ბენ) მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ეწყო. საზეიმო დახურვისას, როცა, ქ-ნი ელენე სიტყვის სათქმელად წამოდგა, უეცრად გრძნობა დაკარგა. სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. იგი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ერთი წლის შემდეგ მისი ბინა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაქვემდებარებაში გადავიდა, როგორც „ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი“. განსხნის პირველ დღეებში შთაბეჭდილების წიგნში პირველი ჩანაწერი ცნობილმა მოჭადრაკემ მარკ ტაიმანოვმა გააკეთა. მუზეუმი დღესაც იმ ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ქ-ნი ელენეს დროს: იმართება მხატვრული საღამოები, საქმიანი შეხვედრები, სხვადასხვა მხატვართა და ბავშვთა ნახატების გამოფენები, მას ძალიან უყვარდა ბავშვები და ავი თბილისის ბავშვთა გალერეა ქ-ნ ელენეს სახელს ატარებს.

სამაჟულ ომის პერიოდში ცნობილი პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი ორი წლის მანძილზე მეუღლითურთ ცხოვრობდა მხატვრის ბინაში. შეიძლება ამ მეგობრობამ განაპირობა, რომ ს. რიხტერმა ხატვა დაიწყო და ქ-ნ ელენეს გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ახვლედიანის სახლში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

ბევრი მხატვრისგან განსხვავებით, ელენეს ძალიან უყვარდა თავისი ნამუშევრების განუქება. ერთხელ მოსკოვში მისი სურათების გამოფენა უნდა მოწყობილიყო და, წარმოიდგინეთ, თბილისიდან არცერთი სურათის წაღება არ დასჭირდათ – იმდენი იყო მოსკოველთა ოჯახებში გაბნეული.

სახელგანთქმულ მხატვარ ქალს არც ხალხის, არც ქვეყნის მესვეურთა სიყვარული და მხარდაჭერა დაკლებია. საპატიო წოდებები და ჯილდოებიც არ ყოფილა მისთვის იშვიათი.

წელს იგი 100 წლისა გახდებოდა. მართალია, ქ-ნი ელენე ჩვენთან აღარ არის, მაგრამ მის სახლ-მუზეუმში ყველაფერს მისი სული უდგას. ამ ტილოებში მხატვრის მოუსვენარი გული ფეთქავს. „მხოლოდ ხელოვანს ვერ ეწვევა სიკვდილი“, ქ-ნი ელენე ყოველთვის თბილისის ტრუბადურად დარჩება.



ამ სიყვარული ბასაბტარ არაფერი

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა ულამაზესი იუბილე – საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნის, ორი ერის უპრეცედენტო მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების აღსანიშნავი დღეები. ისინიც კი, ვისაც ქართული ტოლერანტობა, შემწყნარებლობა სხვა ეროვნებისა თუ სარწმუნოების ადამიანთა მიმართ მხოლოდ თავისმოსაწონებლად ნათქვამი ლამაზი ფრაზები ეგონა, გაოცებით იფშენებოდნენ ხელებს, როცა ზემოთ სტუმრად ჩამოსული ჩვენებური ებრაელების და მათი მასპინძლების თვალუბზე სიხარულის ცრემლების ციმციმს უყურებდნენ.

ზეიმი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ჩვენი მეგობრობა და სიყვარული.

დღეს ჩვენი სტუმარია სახელოვანი ებრაელი ქალბატონი მარინე სოლომონიშვილი.

მცირე დოსიე:
ნარჩინებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი, მოსკოვის სასწავლო დაწესებულებათა საბავშვო-ცენტრში კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

არის არქიტექტორთა კავშირის წევრი და ოცამდე არქიტექტურული ობიექტის, ათი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის ავტორი, რომელთა შორის რამდენიმე მინიჭა დიპლომი „წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი“, სხვა პრემიები რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონკურსებზე. ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. საქართველოსა და რუსეთში გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი წერილი საქართველოს ებრაული თემის, ქართულ-ებრაული ურთიერთობის, ქალთა პრობლემებისა და სხვა აქტუალური საკითხების ირგვლივ.

ამავე დროს ქ-ნი მარინე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჩვენ ვთხოვეთ სტუმარს, პასუხი გევა რამდენიმე შეკითხვაზე:



ქ-ნო მარინე, თქვენს საინტერესო პროფესიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით. ხართ ებრაელ ქალთა საერთაშორისო ფონდის (კავკასიის გაერთიანება) პრეზიდენტი.

გვითხარით, რა საქმიანობას ეწევით, როგორც პრეზიდენტი, ვინ და როგორ გეხმარებათ იმ პრობლემათა გადაჭრაში, რაც ყოველთვის თან ახლავს ამგვარ მოღვაწეობას?

– საერთაშორისო ფონდი ოფიციალურად 1997 წლის ოქტომბერში დაფუძნდა, მაგრამ მისი შემადგენელი საქართველოს ქალთა

გაერთიანება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვაცილებით უფრო ადრეიდან მოქმედებენ. წლეულს ჩატარებულ თანამეგობრობის ქვეყნების ებრაული თემის ლიდერების მოსამზადებელი პროგრამის ტურებში კავკასიის რეგიონიდან გაიმარჯვა ერთმა პროგრამამ, რომლის ავტორიც მე ვახლდით.

ამ გამარჯვებას მოჰყვა ჩემი მიწვევა იერუსალიმში, სადაც უნდა წარვსდგე „მრავალფუნქციური ცენტრი ქალებისათვის“ პროგრამის კონცეფციით.

პროგრამაში მონაწილეობას დახმარებას უწევს ამერიკის გაერთიანებული კომიტეტების ჯო-

ინთის კავკასიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბ-ნი მეირ ზიზოვი. ბ-ნი მეირის თანადგომით ფუნქციონირებს ებრაული და ინტერსური ენების შემსწავლელი კურსები ქალებისათვის და „ქალთა კლუბი“. ამას გარდა, 1997 წლის სექტემბრიდან ჩემი მოწოდებით განხორციელდა „ოჯახური კლუბის“ პროექტი ამერიკის ებრაელთა მემორიალური კულტურის ფონდის და ებრაული რელიგიური კონგრესის „შიმფაზას“ და საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის არიელ ლევინის პროგრამის მიხედვით. მუშაობა წლეულსაც გაგრძელდა. დიდ დახ-

მარებას გვიწვევდა საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი არიელ ლევინი, ტარდებოდა ყოველთვიური საუბარ-სემინარები, აქ ეცნობოდნენ ებრაულ კულტურას და ისტორიას, საუბრობდნენ საერთო საჭირობოროტო პრობლემებზე.

ნაყოფიერად მუშაობს ჩვეს მიერ დაარსებული „ქალთა კლუბიც“, რომლის მიზანია ქალთა პროფესიული და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა. ხშირად

კლუბის შეხვედრებს საკუთარ მიზანი ვანყობ, რითაც მინდა ავადორძინო საქართველოში ოდიტვანვე მიღებული სალონური ტრადიციები. შინ ხომ ყოველთვის უფრო უშუალო და გულთბილი ატმოსფერო სუფევს, გაულახდილობისათვის განწყობს სტუმრებს, რაც დღევანდელ დაძაბულ ყოფაში განტვირთვის, სულის მოთქმის კარგი საშუალებაა.

- ოჯახში ალბათ გქონდათ სტიქიანიობის ტრადიცია.

- ო, დიახ, ჩემს ოჯახში მუდამ ხალხმრავლობა იყო. დედაჩემი, ბებიები უანგაროდ ეხმარებოდნენ ვისზედაც ხელი მიუხვედებოდათ. ისინი ჯერ ხელმოკლეთ დააპურებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაშლიდნენ შაბათის სუფრას. ჩემი ბაბუები კი თბილისისა და ცხინვალის სალოცავებში ცნობილი მორწმუნენი გახლდნენ. ალბათ ამის ბრალიც იყო, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ ისეთი სიცარიელე და მარტოობა ვიგრძენი, რომ მიხვდი, სულიერად ისევ ხალხთან სიახლოვე და ქველმოქ-

მედება თუ გადამარჩენდა. ასეც მოხდა.

- ქართულ პრესაში ნამიკითხავს იმ საუბრების შესახებ, რაც თქვენს პრესისტუდიაში ეწყობა და ზოგი რამ საინტერესოდ მომჩვენებია.

- დიახ, ჩვეს პრესისტუდიაში სხასუბროდ ვინვეთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საინტერესო ადამიანებს. აქაც ძალზე საინტერესო დიალოგები გვაქვს.

- და მაინც, უფრო კონკრეტულად გვითხარით თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე და მის აქტივობებზე.

- ჩვენი ძირითადი მიმართულებებია: ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა, მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციებისა და ებრაული თემების ურთიერთკავშირის განვითარება, ქართულ და ებრაულ კულტურათა პროპაგანდა, ეროვნებათმორისი ურთიერთობის განვითარება. მონაწილეობა მივიღე „კავკასიის ლიდერ ქალთა“ ტაბახმელაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, ა. ნ. ოქტომბერში, სადაც გადმოგვეცა სერტიფიკატი.

პერსპექტივაში გეაქვს ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ასე სჭირდება ჩვენს სულიერებას. ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ საქართველოს ქალთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომელთაც ხელმძღვანელობენ კარგად ცნობილი ქალბატონები - ნ. დეგარანი, თ. აბრამიშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ.

გურგენიძე, ჩ. ჯაში, ე. ასტემიროვა, ნ. ჭანიშვილი და სხვები.

თვითონ ჩვეს ორგანიზაციაში აქტიურად იღვნიან ებრაელი თემის თვალსაჩინო წარმომადგენლები: მეცნიერებათა დოქტორი, გერმანისტი ლეილა თეთრუაშვილი, ფიზიკოსი ქეთი მეგრელიშვილი, ებრაული ენის მეცნიერთა სასწავლებლის პედაგოგი გულიკო პალავაშვილი, „უღვანის“ დირექტორი ლარისა ნამთალაშვილი, ხელოვნებათმცოდნე ლევა ნინუაშვილი, ექიმი მია ანაშვილი და მრავალი და მრავალი სხვა, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

- მე ვიცი, რომ თქვენი შობი ხატუცაა. გვითხარით ცოტა რამ თქვენს მხატვრობაზე.

- დიახ, მართლაც ძალიან მიყვარს ხატვა. ვმუშაობ გრაფიკაში, შესრულებული მაქვს მარინეტ-თოჯინების სერია ქართული ხალხური კოსტიუმების მიხედვით და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშები.

ქ-მა მარინეტ თავისი გრაფიკული ნამუშევრებიც დაგვიჩოვა, რომელსაც სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ჩვენს მეგობრებს - ქართველ ებრაელებს ვულოცავთ სახელოვან იუბილეს და ისეთსავე სიყვარულს ვუსურვებთ, რაც აქამდეც გვაერთებდა.

ჩვენ მამაში გასაოცარს ვერაფერს ხედავთ.

ნათია მკასალია



● მ. სოლომონიშვილის ნახატები

ცოდვით და მადლით დახსოვებულნი

რამდენიმე ახლო ნაცნობ-მეგობარი ებრაელი მყავს, რომელთაც სიყვარულსა და პატივს მივაგებ მუდამ; ჩემი დეიდაშვილის, სულიკო რამიშვილის მეუღლე, ფრიად განათლებული, პროფესიით ეკონომისტი – ქალბატონი ზინა, სიყვარულით მგებობის რძალი, ცნობილი გინეკოლოგი – ქალბატონი რაისა ნაციაშვილი, მთარგმნელი, დრამატურგი და კრიტიკოსი, პუბლიკ – ბატონი გიორგი უხანაშვილი, დანსაზურებელი ჟურნალისტი ბატონი დავით ბუხუკაშვილი და მისი ქალიშვილი თეატრმცოდნე და ჟურნალისტი – მარინე ბუხუკაშვილი. მაგრამ ახლა, ქართველი და ებრაელი ხალხისადმი ოცდაექვსასუკუნოვანი მეგობრობის საზეიმო დღეებში, განსაკუთრებული სითბოთი მაგონდება ერთი სურამელი ებრაელი, კეთილი და ბავშვების საოცრად მოყვარული კაცი – დათიკო ძია, რომელიც ჩემს პატარაობაში ბოროტობის ჩამოღობა ხომდე სავაჭრობა და რომელსაც ხშირად შემოუღია ჩვენი და ბევრი სხვა ოჯახის კარი.

რაკი საქვეყნოდ ცნობილი პატარა ბორჯომი ვახსენებ, მიზნად გულწრფელად ვაღიარო – იგი ქვეყანას მირჩევნია, რადგან ექ დავიბადე და...

X X X

1937 წლის 14 მაისს მთელი ოჯახი ჩემს სადღეობო სუფრას ვუსხედით. კარზე დააკაშუნს და ოთახში დაუპატოვებელი უცნობი სტუმრები შემოვიდნენ. ერთი მამასთან მივიდა, მზარზე ხელი შემოხვია, რაღაც უჩურჩულა, მეორეც ასე მოიქცა, მერე ჩემს დედინაცვალს უთხრა: ცოტა ხნით წავიყვანო, საქმე გვაქვს და მალე მობრუნდებო. სიცილ-სიცილით გავიდნენ. „ცოტა ხნის“ შემდეგ მამის მაგიერ სხვა უცნობები მოვიდნენ, ოთახებში ყველაფერი თავდაყარი დააყენეს, წიგნები გადაქექეს, სანერი მაგიდის უჯრები ძირს გადმოაპირქვევეს, ლოგინები და ტანსაცმელი როჯში გამოეფიქარეს, ბინა დაგვიტოვეს და ჩვენსენენ.

შუაღმცხვილით მაგონდება:
 ...მამის წაყვანით დაცრემლილი დეიდაზე ჩემი და საზეიმო ტკბილი სუფრა – ქვეყნის შხამად, აუნთებელი ტორტზე ბოლო, მერეც საწითელი ვითომ... „ცოტა ხნით“ გაყვანილი სუფრობის მამა...
 ...მასხვის, სასტუმრო ოთახში, ფანჯრისთვის მოპირდაპირე კედელთან, ხის კარადში ჩასმული დიდი საათი იდგა. მისი რეკვის მონოტონური ხმა ყველა ოთახში ისმოდა. გავიგებდი თუ არა მის ძინ-ძინს, მაშინვე ჩემებურად აყვევიდებე გენ-კინ, გენ-კინ...
 გენკინი ბორჯომში ცნობილი ებრაელი მესაათე იყო. ერთხელ იგი მამამ საათის შესასწორებლად მოიყვანა. ცოტა ხანს რომ უტარა, უცებ ძინ-ძინი დაიწყო საათმა. ძია შესაათებ მითხრა: – უსმინე რას „იძახის“: გენ-კინ, გენ-კინ... იგი რატომ? გენკინი ჩემი ვაგარია, მე კი მაისი ექიმი ვარ და მაცნობებს ხომდე, კარგად ვარო. შენ თუ ხელს ახლებ, ავად გახდები და გაჭირვდება...

ივ დღეს, მამის წაყვანის შემდეგ, დალუქული კარის მიღმა საათმა რომ პირველად დარეკა, მაკვიფრდებოდა გენკინის ნაცვალად, როგორ მარცვლავდა ქსქარა: მა-მა, მა-მა, მა-მა... და ცრემლები მახრჩობდა...

X X X

თითქმის რვა თვე მე და ჩემი ცამეტი წლის ძმა მარტონი ვიყავით. ჩვენი უფროსი და, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდა და მაშინდასთან იყო თბილისში, დედინაცვალე – თბილისში მამას მისახედად (მამა გადასახლებამდე თბილისის ციხეში ჰყავდათ). იგი ორ კვირაში ერ-

თხელ, ზოგჯერ თვეში ერთხელ ჩამოგვაკითხავდა, სანოვანს და პურის ფულს დაგვიტოვებდა და ორ დღეში უკან ბრუნდებოდა.

X X X

ბორჯომული ნოემბრის სუსხიანი ქარი ლოჯის ღრიჭოვებში ძვირბობდა. მიცოდა. შემოპარული ცივი პაერი არ მსიამოვნებდა. კარის მეზობელი ახლობელიან შევედი და აღულუნებულ თუშუქის ლუმელთან გასათობად დავდექი. ღუმელზე შემრანული კარტოფილით სავსე ტაფა იდო. ძალიან მომინდა და ხელი წავატანე. მემწვავა. ის იყო, მეორე ხელიც უნდა მიმეშველენინა, რომ უცებ ხელის მტვერზე ისე მფურთხეს, კარტოფლი უკან დამაგდებინეს. შევეცუნდი, ავიღენე, გულმა ბავა-ბუგი დამიწყო, ცრემლები მომანვა. საშინლად გავიგებულმა ფეხის გადადგმა ძლივს მოვაგებინე და თავჩაბუნებულმა უსიტყვოდ დავტოვე ოჯახი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი ოჯახისაგან განუყოფლად ითვლებოდა;
 ღმერთმა შეუნდოს ჩვენს ახლობელს მის თვალწინ გაზრდილი ბავშვის მიმართ ჩაღვნილი ცოცხა, რომელიც მარჯვენა ხელის მტვენიდან დაღმდე არ მცოდნება.

X X X

მალე მამიდამ ჩვენც წაგვიყვანა თბილისში და ჩვენი დარბეული სახლ-კარიდან დარჩენილი ლოჯის კარიც გა-მოიქცა.

X X X

ერთხელ, როცა დათიკო ძია კვლავ ჩასულა ბორჯომში და ჩვენი ამბავი მებოლებსაგან შეუტყვიდა, ძალიან შეწუხებულა, ეს რა მითხარითო. ცოტა ხანს გაყუჩებულა, მერე თვალცრემლიანს უთქვამს: – თქვენი ქორიბე, მითხარო ბავშვებიც არ ავიან, გამაგებინეთ, მათი ასავალ-დასავალი...

X X X

1938 წლის აპრილის ერთ კვირა დღეს, როცა ყველა შინ ვიყავით, დათიკო ძიამ მოგვძებნა. როგორც კი დინახა ჩემმა ძმამ, გახარებულმა შესახა: დათიკო ძიო, გადახსენია და შინ შემოიპატივა. მამიდას ჩვენი ბორჯომული მეზობელი ეგონა. ჩემმა და მამამ ვინც იყო... დათიკო ძიამ კი დაუძლია: – თქვენი ძმის ოჯახში მიხარული მიმსვლებოდა, იქ პურმარილეც მიმიღია და ერთ ზამთარს რომ შემომადგინა და შინ დაბრუნება ვერ მოვასწარი, ღამეც კი გამათევიო.


...ნასვლისას დათიკო ძიამ ჩემი საყვარელი აბრეშუმის ნაირფერი პრიალა ლენტები მაჩუქა, ჩემს ძმას კი – ფული, რაზეც მამად ძალიან შეწუხდა და არაფრით ნებას არ აძლევდა, ამას ნუ იზამთო. უფრო მეტად შეწუხებულმა დათიკო ძიამ სთხოვა: – ნუ მომიხილი ქალბატონო, აქ იმითმ ჩამოვიდი, რომ ბავშვებს ცოტა მივეფრთხილო.

...მერე (ოთხი წლის განმავლობაში), როცა თბილისში ჩამოდიოდა ნელინდამი ერთხელ ან ორჯერ, აუცილებლად გვინახებოდა და ჩემს ძმას „ჯიბის ფულს“, (როგორც თეთონ ამბობდა) შუად მუცელზე და.

არ ვიცი, რომელი გრძნობა ეწეოდა ჩვენს ძმას: მამაჩემი სიბრძნული, ბავშვების სიყვარული თუ თავისი მაღალი და კეთილი გული იმ მაღლიან კაცს, რომელიც მუდამ დიდი სითბოთი მაგონდება ხოლმე.



„ამ ყოველდღე სასწავლი ხდება“, – ამბობს პაციენტი



„როგორც ჩანს, ყველაფერში არის მინიშნება რაღაც ზოგადზე... როდესაც კორეელი პროფესორი პაკ ჩჟე ვუ ამ დასკვნამდე მივიდა, მაშინ ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ უახლოეს მომავალში ტრადიციული მედიცინის ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებას სუ-ჯოკ აკუპუნქტურის საფუძვლის დამდები და მამამთავარი გახდებოდა, რომ მისი მეთოდი პატარა კორეის საზღვრებს იოლად გაარღვევდა და პლანეტის მასშტაბებს შეიძენდა – მსოფლიოს დიდი ქვეყნები ერთიმეორის მიყოლებით გაუღებდნენ კარს მეთოდს და ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს მის განვითარებას. ასეთი რამ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა შედეგები აშკარა და თვალში საცემია.“

ვინ არის პროფესორი პაკ ჩჟე ვუ და რა არის მისი მეთოდი სუ-ჯოკ აკუპუნქტურა?

მეთოდს ძირები ძველ ჩინურ მედიცინაში უდევს. როგორც ვაღმოცემა გვეუბნება, ერთხელ ერთ მიწის მუშას, რომელსაც არანორმალური თავის ტკივილი აწუხებდა, მუშაობის დროს ფეხის ცერზე მძიმე საგანი დაეცა და, რასაკვირველია, ძალიან გამწარდა, მაგრამ ამავე დროს აღმოაჩინა, რომ... თავის ტკივილმა გაუარა. ზოგადი აკუპუნქტურა, როგორც ჩანს, აქედან წამოვიდა, პაკ ჩჟე ვუმ კი ჩვენს დროში სრულიად ახალი სიცოცხლე შეიძინა მას.

აი, ძალზე სექმატურად მეთოდის არსი: ადამიანის ხელის მტევანი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი სხეული (ესე იგი, ხელის მტევანი შეიცავს მინიშნებას ზოგადზე – მთლიანად

ორგანიზმზე) ამდგავარად: შუა და არათითი – ფეხები, საწვენებელი და ნეკი – ხელები, ცერი თითი კი წარმოსახვით შემოვატრიალთ მკლავის და ხელის მტევნის გასაყარზე და დავიხაზოთ როგორც თავი. ასე მივიღებთ ადამიანის მინისხეულს.

თუ ადამიანს რომელიმე ორგანო სტკივა, სუ-ჯოკ თერაპევტი ხელის მტევანზე ამ ორგანოს მდებარეობის მიხედვით მოძებნის შესაბამის წერტილს (როგორც აუცილებლად მტკივნეულია) და იწყებს მის დამუშავებას.

თუ როგორია კონკრეტული შედეგები, ამაზე ცოტა ქვემოთ იმ ადამიანებს მოვუხმინოთ, ვინც კონკრეტულად საკუთარ თავზე გამოსცადა მეთოდი. მანამდე კი ორივე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ შემოვიდა მეთოდი საქართველოში.

არის ჩვენს ქალაქში ექიმი მერაბ ნებიერიძე. ვიცნობთ მას როგორც ქირურგს, პათომორფოლოგს, სექსოპათოლოგს, იყო ჟორდანაის სახელობის ინსტიტუტის დირექტორის მთავადილე, სამედიცინო ფერმა „ქორწინება და ჯანმრთელობის“ ხელმძღვანელი, ვიცნობთ აგრეთვე, როგორც რადიოპროგრამის – „ყველაფერი სექსზე, სექსზე, ქორწინებაზე“ – წამყვანს, როგორც წიგნის – „სექსი, სექსი, ქორწინება“ ავტორს.

პაკ ჩჟე ვუს სახელი პირველად მეგობრების – სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. ინსტიტუტის რექტორის პროფესორ ვახტანგ სართანიას და იუნესკოს გენერალური მდივნის ფედერიკო მაიორის პირადი მრჩევლის ვიქტორ



ლომეიკოს წრეში გაიგო. ამასთან, ვ. ლომეიკომ ურჩია დაინტერესებულყვენ პროფესორ პაკით და მისი მეთოდით.

მალე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თბილისში იუნესკოს ეგვიპტის მიმდინარეობდა და რომლის მოთავე, პრეზიდენტის ფონდიან ერთად, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი იყო (და რომელშიც მედიცინის სექცია მერაბ ნებიერიძეს მიჰყავდა), მოიწვიეს პაკ ჩვე უკ. მან ლექციები წაიკითხა თავის მეთოდზე და საზოგადოება დააინტერესა.

ასე გაიბა კონტაქტი, რომელიც ძალზე მალე გაღრმავდა – პაკმა ჯერ თბილისში მოავლინა სუ-ჯოკ თერაპიის სპეციალისტი, რომელმაც სწავლების საბაზისო ციკლი ჩაატარა, შემდეგ მისი რეკომენდაციით მერაბ ნებიერიძე, რომელმაც მოსკოვში პაკ ჩვე უკს მიერ დაარსებული სუ-ჯოკ აკადემიის კურსი დაამთავრა, სუ-ჯოკ აკუპუნქტურის საერთაშორისო ასოციაციის წევრად აირჩიეს.

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა გზა იდეიდან რეალიზაციამდე. მალე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროლოგიური ცენტრის დირექტორის მამუკა მაკარიძის აქტიური დახმარებით მეთოდი ცენტრში დაინერგა და უკვე უჩვენა კონკრეტული შედეგები. ასე დადგა დღის წესრიგში დამოუკიდებელი ცენტრის დაარსების აუცილებლობა. სხვათა შორის, საკითხს ფელისხმეირად მოეკიდნენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლიცენზიების დეპარტამენტის დირექტორი ზაზა თოფურია და მისი მოადგილე ავთანდილ ისაკაძე, აგრეთვე აკუპუნქტურის ასოციაციის პრეზიდენტი მზია კანდელაკი. სულ ორიოდე თვის წინათ კი საზოგადოებას ეუწყა, რომ ვაჟა-ფშაველას 83/11 ნომერში გაიხსნა სუ-ჯოკ თერაპიის ცენტრი. ასე განდა ისტორია. აი, რამდენიმე ამონაწერი შთაბეჭდილებათა წიგნიდან:

„უკუხვრობ ხელოს რაიონში. ბატონ მერაბს უსმენდი ხოლმე რადიოში. მაწუხებდა უამრავი რამ: ნევრასთენია, დეპრესია, ჰიპერტონია, გულის არითმია, გასტროიტი, წინამძებარე ჯირკვლის ანთება. 10 სეანსის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი ვებრუნდები სახლში. უღრმესი მადლობა მერაბ ნებიერიძეს და ჩემს მკურნალ ექიმს სიმონ გორელაშვილს“ (ნ.გ.).

„მაწუხებდა საშინელი ტკივილები თავის და კისრის არეში. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია, რამდენიმე დღეში ყველა ჩემი სატკივარი წარ-

სულ ჩაბარდა. არც კი ვიცი, მადლობა როგორ გამოვხატო“ (ც.მ.).

„უდიდესი მადლობა სუ-ჯოკ თერაპიის ცენტრს ყველაფრისათვის, იმისათვის, რომ გადამარჩინეს მძიმე ოპერაციას, იმისათვის, რომ მაწუქეს ყველაზე ძვირფასი – დედობის უფლება. მეხდეთ – აქ ყოველდღე სასწაულები ხდება“ (მ.გ.).

„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი პრობლემის წინაშე მედიცინა უძლური იყო. საკმარისი იყო თვალბის ერთ წერტილზე კონცენტრაცია, რომ მალა მიწვედა წნევა (მივდიოდა კროზამდე), ამპარტოლოა გულის შეტევები, პრაქტიკულად არ შემიძლო არც ერთი სტრიაქონის წაითხვა. ცალკე მოუვლელი პრობლემა იყო ჰიპერტონია. უწამლო დღე ჩემს ცხოვრებაში პრაქტიკულად არ არსებობდა.

14 სეანსი ვიორგი მაზავაშვილთან და მანანა ბრეგვაძესთან საკმარისი ამოიხნდა იმისათვის, რომ ცხოვრებას დაგვრუნებოდი... წნევაც დარეგულირდა, წაალებიც გადავყარე. ყოველდღე ლოცვებს ვკითხულობ და ვაიდიბე უფალს, რომ ამ მაღლიან ადამიანების ხელით ასეთი სიკეთე ითესება ჩვენს გარშემო“ (ი.ს.).

ჩვენ ხომ მივეჩვიეთ, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენში ყველაფერი მხოლოდ ინერგეა. ახალ ჯანსაღ წამოწყებას ხომ ხელშეწყობის ნაცვლად ხელს უშლიან. ამიტომ ძალზე მწენად მივსწევთ წინ – მივდივართ და ვერც მივდივართ. ასეთ ფონზე ყოველი წამოწყებული კარგი საქმე დადებით გრძნობას იწვევს. დროის, ენერჯის, მატერიალური სახსრების მაქსიმალური დაზოგვით – შესაშური შედეგი – საბოლოო განკურნება.

– წერილები გაუგზავნე პირადად პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს (ბატონ ნიკო ლეკოშვილს ჯერ კიდევ). განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვ, მხოლოდ – მორალურ თანადგომას, მხარდაჭერას. გვიდა მთელს რესპუბლიკაში გავრცელდეს მეთოდი, პირადად ჩემი და ცენტრის ექიმების ინსტიტუტი და ერთი დაწესებულების ფარგლებში სახსებით თავსდება. უბრალოდ, გვიან ადამიანებმა ყველგან ამოიხუნქონ, იმ სიტუაციაში, როგორც დღეს საქართველოშია, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ამბობს მერაბ ნებიერიძე. – ეს არის და ეს...

და განა ეს ცოტაა?!

პრაპინი აკითხება:

რა გიჭირს, რით გიშველოთ



ზოგიერთი ადამიანის ცხოვრება ისე აწყობა, ისე ხატოვნად ისახება ქვეყნის ჭირ-ვარამი იმ ერთი პიროვნების ცხოვრებაში, ნიჭიერი მწერალი აუფაძლებით რომ გაეცნოს, მთელი ეპოქის ამსახველ ნაწარმოებს შექმნის.

ერთი ასეთი ქალბატონი პროფესორი ანტონინა ბარბაქაძე გახლავთ. იგი იმ წელიწადს დაიბადა, საქართველოს ცხოვრებაში დიდი კატაკლიზმები რომ ხდებოდა. საქართველო 1924 წლის გამოსვლების მოწინავედ საბჭოთა რევოლუციის სასტიკად უსწორდებოდა და, როგორც ბოლშევიკებს უყვარდათ თქმა: "ტყის ჩეხვას ნაფორების ცვენად მოპყვებოდა". ეს "ნაფორები" კი უბრალო და უდანაშაულო ადამიანები იყვნენ. იქნება მთარგმნებელი იცოდა, რომ "ნაფორები" უბრალონი იყვნენ, მაგრამ ხალხი მიმის რაიმე სხეულებს ხომ უნდა მოექციათ, რომ რაიმე "სესებზე" არ გაეჭრა.

ჰოდა, იყო შიში, შიმშილი, გაჭირვება, მაგრამ ამ გაჭირვებაშიც ჭიატობდა კარგი მომავლის იმედი, სწავლის წყურვილი.

ანტონინამ ხაურის სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ ერთი წელი სწავლა ვეღარ განაგრძო – ოთხშვილიანი ოჯახი და ავადმყოფი დედა სტუდენტს ვერ შეინახავდნენ. მეორე წელს, როგორც იქნა, მოხვდა თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სასწავლებლად წასვლა, ჩააბარა, მაგრამ გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართიც მიეწეოდა, ისე აუფაძრათ. მამა გარდაიცვალა და ან სწავლისათვის უნდა დაენებებინა თავი, რათა ობოლი და-ძმანი შეეხან, ან მთელი სტუდენტია მათთვის უნდა გაეკარებინა. ასე ნაზატირი ინსტიტუტი არ შემოიბოდა, იქვე ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. სტალინური სტრუქტურა ჰქონდა და უკანასკნელ კამიკაძე შინ გზავნიდა.

ფიფთონ კი, ახლაც ემადლიერება ამხანაგების დედებს, რომლებიც ალბათ ატყობდნენ გაჭირვებას და უჭმელს არასოდეს გაუშვებდნენ.

მოკლედ, ობოლის კვერი ძნელად, მაგრამ მაინც გამოცხვდა და ქალიშვილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხა აკად. ფ. თავაძისთან ლიტონიმედიცინის სპეციალობაში.

ახლა სხვა დამბრკოლება გაჩნდა. ინსტიტუტის მამინდელმა რექტორმა აით-

ვალუნა ქალიშვილი, არც საჭირო თანხა გამოუყო, არც შრომებს უბეჭდავდა – აქიო და შესს თემას აგრონომიული მეცნიერებასთან კავშირი არა აუკისო.

ენერგიული ქალიშვილი არ შეეუბა დაბრკოლებებს, შრომების დაბეჭდავაც მოახერხა და დისერტაციაც წარმატებით დაცვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე.

ანტონინა იყო პირველი ქართველი მექანიზატორი ქალი, სამეცნიერო ხარისხით. მუშაობდა ძვირადღირებული კალიანი ბაზილების უკალო მენადნობების მიღებაზე და იმდენად საინტერესო შედეგები ჰქონდა, ბევრი კოლეგა სახელმწიფო პრემიასაც უწინასწარმეტყველებდა. სწორედ ეს გახდა შურის ახალი ტალღის აგირების მიზეზი და კვლავ დაიწყო მეცნიერი ქალის დედნა და მწვერლოდი.

მეორე იყო იმის მიხედვით, რომ უფულოდ და უპატრონოდ, თანაც ქალისათვის ტექნიკურ მეცნიერებაში რაიმე შესწავლევანი შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, მით უფრო, თუ ეს მიღწევა თანამდებობით უფროს კოლეგას თვალში ეკლავ ესაობოდა.

მაგრამ მიხვდა. მიხვდა და თითქმის 80 პროცენტით დასრულებული სადოქტორო ნაშრომი უფრამი ჩაიღო.

რაიმე ხომ უნდა ეკეთებინა, მით უმეტეს, რომ ამდენ გაჭირვებასა და დავიდარბამში საუკუთარი ოჯახი ვერ შექნა. ამიტომ დრო ჰქონდა, გულიც ენრჩოდა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ეიდა. უფულო და საპასუხისმგებლო საქმეში ვიღა შეეცილებოდა და ისიც წლების მანძილზე თავდაუზოგავად მუშაობდა ხან კომკავშირის, ხან პარტიული, ხან პროფკავშირული კომიტეტების მდივნის თუ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელად.

ამასობაში სიტუაციაც იცვლებოდა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობაც – და მართალია, როცა თამაში ჭაღარამ იშმაკად, ავიდარა და საპატრიო პროფესორად აირჩიეს. მერე, დრო და დრო მედღეობა და საპატრიო სივლენებსაც აძლევდნენ და ბოლოს უშალღესი სკოლის დამსახურებული მუშაკის სიღბებამაც მოუსწრო. გაუთარდა, რა

თქმა უნდა, მაგრამ რა... ცხოვრება თითქმის გასული იყო გაჭირვებაში, ობოლი დამძვინა პატრონობაში, შურიან და ღვირძიანი უფროსებთან უთანასწორო პიძოლაში, დროის, ეპოქის, უკულმართობაში.

ღარა ნიჭიერი, ჭკვიანი, კდემამოსილი და პატიოსანი ქალი ისე, რომ ამ ცხოვრებდაც კნინიც არ მოუღია იმისა, რაც ეკუთვნოდა. რამდენი უღირსი, უსიჭარი და უსინდისო აღწედა მის თვალწინ საშასხურშიც, მეცნიერებამაც, პირად ცხოვრებამაც. არ გაბოროტებულა, ადამიანები არ შეუშლავია. პირიქით, სათუთად ინახავს ალბომებს ის სურათებით, ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობის დროს რომ გადაღული კორესპონდენტს, მოსკოვში მისი მუშაობის განზოგადებისათვის რომ უნდა წახლეთ და მერე ფოტოშიც გადაეღოთ. ამასიც არ გაუშარათლა, სწორედ მაშინ დაიძალა საბჭოთა აკვშირალი, მოსკოველი რეჟისორის შხა სცენარი რომ უნდა ჩაიშობოდა და კინოს გადაღება დაეყო.

ჩუმად გაეცინა: კინო მაკლდა, მეტი არუფერი!

ქ-ნ ანტონინას ხანდახან ახლაც ვხვდები ქალთა საბჭოს ლინისტიტებზე. ისეც ქალები თუ გაბისტენებზე ნამაზარ ადამიანს.

სიბოძო და სათონებია იღვრება მისი თვალებიდან და დაკვირვებულ თვალი იმასაც აზიოკითავს, როგორ უღირს და რა ლინესულად იტნს ამ გაჭირვების ხანდაზნულყო ქალბატონი – საპატრიო პროფესორი, ინსტიტუტიდან ზარ-ზემოით და ლამაზი ადრესით ნამოსული, ინსტიტუტის ქალთა საბჭოს საპატრიო თავმჯდომარე. საპატრიო საპატრიო, ისე კი არავინ ეკითხება: რა გიჭირს და რით გიშველოთი ანაგადრო ადამიანი. არავის არავასთვის ადარ სცავლია, ესეც დრომ მოიგანა.

არადა, საზოგადოებას არ შეეწინ ასეთი გულგრილობა, თორემ ეპოქის კატაკლიზმების ზორცსაკეში მოხვედრილი ქალისათვის გაჭირვება არ ახალია, ძველია.

ამიტომ გითხარით დასაწყისში, ანტონინა ბარბაქაძის ცხოვრებაზე ნიჭიერი მწერალი მთელი ეპოქის ამსახველი ნიგბს დაწერდა-მეთქი.

განა მართალი არა ვარ?




საკილუაზი-„საკსეპლის“ პაწაუზი...

„ინფორმაცია – გამოუყენებელი ქაღალდები“, „ხერხემალი“, „ყავის ფილტრები – დიფერები“, „როგორ გამოიყურებიან მოგონებები“ და კიდევ სხვა და სხვა. დანეტრესდით, არა? მაშინ აუცილებლად გირჩევთ ნახოთ სოფიკო ტაბატაძის ნახატები. ახალგაზრდა მხატვრის მიერ შექმნილ სამყაროში შეიძლება ბევრი რამ უცნაურადც მოგჩვენოთ, ბევრიც გაუგებარი იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სოფიკოს განსხვავებული ხელნერა აქვს, რთული და ორიგინალური, რომელიც აუცილებლად დაგაფიქრებთ. დაგაფიქრებთ და გაგაოცებთ, რადგან თქვენ XXI საუკუნის მხატვრობას უცქერთი, ან იქნებ პირიქით, ნახატებიდან XXI საუკუნე შემოგცქერით.

სოფიკოს მშობლები არქიტექტორები არიან და რაც თავი ახსოვს, მუდამ დურცელთან და ფანქართან ჰქონდა კონტაქტი. მისთვის ხატვა არავის დაუძაღვბია, დოქი არავის დაუდგამს და დახატეო, არ უზრძანებია. ეხატებოდა და ხატავდა. ხატვა საოცრად ართობდა. შემდეგ გართობამ სერიოზული სახე მიიღო და ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გადავიდა, სადაც მაშინვე მიიყვრო შედეგოვების ყურადღება. დაღეს კი მისი მასწავლებელი ნიკოლაძიდან დავით ურუშაძე მალაღმეფასებას აძლევს სოფიკოს შემოქმედებას: „ახალგაზრდა მხატვრის სოფო ტაბატაძის ჰოლანდიაში შესრულებული ნამუშევრები არის ნიჭისა და დაუღალავი შრომის ზეიმი. მწამს, ჩვენი პატარა სოფო იქნება XXI საუკუნის გამოჩენილი მხატვარი“. და ეს არ არის მასწავლებლის მიერ საყვარელი მოსწავლის საქებრად ნათქვამი სიტყვები. სოფიკოს მხატვრობამ ცნობილი მხატვრების გუგა კოტეტიშვილის, გია ბუღაძის და გია გუგუშვილის ყურადღება მიიყვრო. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ახალგაზრდა მხატვარი გრაფიკაში მუშაობს, რადგან, როგორც თავად ამბობს, ძალიან მოსწონს



ტუშით მუშაობა. არ უყვარს, როცა მის მხატვრობას რაღაც სახელს მოუძებნიან. ერთი კია და ამას არც მალავს – ცდილობს არ იაროს გატკეპნილი გზით და რაღაც ახალი შექმნას. ალბათ ახლის ძიებამ და უცხო სამყაროს შეცნობის გრძობამ ჩაიყვანა იგი ჰოლანდიაში. სო-

ფიკო უკვე ერთი წელია ამსტერდამის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. იგი დღითიღე იზრდება შემოქმედებითად. მისი ყოველი ნამუშევარი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. სოფიკოს მხატვრობა ქართული გენის და უცხოური ფენომენის ორიგინალური სინთეზია. ალბათ ამიტომაც არის მისი ნახატები უცხოც და ახლობელიც, ნაცნობიც და უცნობიც. იგი ხშირად ამბობს, ყველაზე საცოდავი ის ადამიანია, რომელიც საკუთარ ფესვებს მონყვდება და უცხოის ქვეშ ეძიებს სამკვიდრებელს, იმ უგუნური თავუნასი არ იყოს, ფრენა რომ გადაწყვიტაო.

„ინფორმაცია – გამოუყენებელი ქაღალდები“, ასე დაურქმევია ნახატების სერიალისთვის მხატვარს. ინფორმაციის შემოტევა, რომელმაც შეიძლება მალე შთანთქოს ადამიანი, სოფიკომ ვიზუალურად გამოხატა. ორიგინალური ხერხებით შესრულებულმა ნამუშევრებმა ჰოლანდიელებს ყურადღება მიიპყრო. ჰადაში გამოფენილმა მისმა ნახატებმა მალალი შეფასება დიმიხაზურა.

ყავის ფილტრებით არის შესრულებული „დიფერები“. ყველა ფილტრი ერთმანეთს ჰკავს, თუმცა განსხვავებაც ბევრია. ასევე ყოველი დღე ერთნაირად იფურცლება, მაგრამ ყოველ მათგანს რაღაც ახალი მოაქვს...

როცა სამშობლოსგან მონწყვეტილი შორეულ ქვეყანაში სრულიად მიუსაფრად იგრძობოთ თავს, როცა მონატრება ტკივილივით მოგერევა და გეკნობა, ხერხემალი არ გადაგატვროს, ახლობლის მიერ გამოგზავნილი ფარატინა ქაღალდი სულზე მოგისწრებს და სიცოცხლის ახალი ძალით აღგავსებს. სოფიკოს „ხერხემალი“ მალეც ის საქართველოდან გავზავნილი წერილებით არის აგებული.

და მაინც, „როგორ გამოიყურებიან მოგონებები?“ ნახეთ სოფიკო ტაბატაძის ნახატები და თქვენ XXI საუკუნეს იხილავთ.

მარინე ნაკაიძე

ქეთევან მერაბაშვილი:**ჯვადგურფი
საკუჟუნი
ქსუ
გჟუჟოლუნი****- ვინ ხართ თქვენ, ქალბატონო ქეთევან?**

- მიკროპედიატრი. ვავლილი მაქვს მსოფლიოში ცნობილი ფიზიოლოგის პროფესორ ა. არშპეკის, ფილადელფის უნივერსიტეტის პროფესორ იგორ ჩარკოვსკისა და პროფესიონალი პედაგოგების ნიკიტინების სკოლა.

დავამთავრე ქალაქ კემეროვოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში თავისი ლექციების კურსით ჩვენიან ჩამოვიდა ცნობილი ბორის ნიკიტინი, მაშინ პროფესორები და სტუდენტები მის წინააღმდეგ წავიდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული და ორიოდ თვეში ბორისის წიგნები და ხელნაწერები ხელიდან ხელი გადადიოდა.

იქ გავიარე ნიკიტინის ბავშვთა აღზრდისა და გაკაუების თეორიისა და პრაქტიკის სრული კურსი. შემდეგ გავეცანი იგორ ჩარკოვსკის მიღწევებს, რომელიც წყალში მშობიარობის ფუძემდებელია. ეს ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო, როცა ვუყურებდი, როგორ ავარჯიშებდნენ და აკაუებდნენ ახალშობილებს, ვფიქრობდი, ამ რუსებს არც გული აქვთ და არც ფეხარი, როგორ უნდა გაიმეტო ახალშობილი ცივ წყალში დასაბანად, დააბზრიანო ხელით, ფეხით, თავით, ორად მოხარო, თოვლში აგორაო, მაშინ, როცა ბავშვს ექვს თვემდე არც სვამენ. მაგრამ როცა უკეთ შევისწავლე, გადავწყვიტე, ჩემი გოგონა ამ მეთოდებით გამეზარდა. ვაჩვენევი წყლისა და ჰაერის აბაზანებს, ვაკაუებდი, ვავარჯიშებდი. ნინო ახლა თექვსმეტი წლისაა, წამალი ჯერ არ დასჭირვებია.

ჩემი მეთოდის საიდუმლო? - ძირითადად უწამლოდ აღზრდა, თუ ძალიან გამოუყვარი მდგომარეობაა, ერთი ან ორი სახის წამალი. თუ ჩვილს, რომელიც რამდენიმე კილოგრამს იწონის და მრავალი სახის წამალი ენიშნება, დაუშვებელია. ორ სახეობაზე მეტის შეყვანა პატარა ორგანიზმში არ შეიძლება. ამიტომ მე გადავვივარ ბუნებრივ მეთოდზე და ვყვრდები ბავშვის ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს. ის მშობლები, რომლებიც მენდო-

ბიან, შედეგსაც ხედავენ.

ჩარკოვსკის მეთოდი ბევრმა გადაიღო მსოფლიოში, საქართველოდან მხოლოდ მე ვვლომ მის ხელოვნებას. ხუთი წელია მიკროპედიატრიაში ვმუშაობ და 99 პროცენტი მხოლოდ დადებითი შედეგები მაქვს. ბავშვების ის ერთი პროცენტი, რომლებსაც ვერ დავეხმარე, ძლიერი მედიკამენტების ხანგრძლივი მიღებით ან თანდაყოლილი მძიმე მანკით იყო ავად.

ბავშვებში ხშირია სამშობიარო ტრავმები: სისხლჩაქცევა, მენჯ-ბარძაყის ამოვარდნა, პარეზი, გათიშული ხელ-ფეხი და შემდეგ უკვე დიდებში დარჩენილი თქძის ამოვარდნილობა, ხერხემლის გამრუდება და სხვა.

გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, ბავშვი რომ დაიბადება, არ უნდა იტიროს. ტირის იმიტომ, რომ სტიკია. დღეს ჩვენიან მშობიარობა დაბალ დონეზეა. ქალი თვითონ უნდა მშობიარობდეს უმტკივნეულოდ, ეს ახალი მეთოდია.

მე კასპიდან ვარ და ჩემი ორივე ძმისშვილი წყალში დაიბადა. ერთი - მოსკოვში, ჩარკოვსკის სკოლაში, მეორე კასპში, სპეციალურად ჩამოვიდა მშობიარობის მისაღებად გინეკოლოგი ქალბატონი ლუდმილა პოგოიოვა.

ამ მეთოდში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მშობიარობის შემდეგ მომყოფის მოჭრა, სანამ თვითონ არ მოშორდება, არ შეიძლება. აღმოჩნდა, რომ ის 150 გრ. სისხლი, რომელიც ჭობლარის მოჭრის შემდეგ ვერ ასწრებს ბავშვში გადასვლას, ინვესტ ჩვილის ცუდ მდგომარეობას. იმას რასაც ბავშვი მომყოლიდან იღებს, უკვე ვეღარასოდეს მიიღებს.

- ქალბატონო ქეთევან, ჩვენ შეჩვეული ვართ, ჩვილს ცივი წივი არ მივაკაროთ და უცებ დაბადებიდან იოვა-ვარჯიშები, თბილ და ცივ წყალში ბანაობა. ესაა მთავარი თუ კიდევ სხვა რამე საიდუმლოს ფლობთ?

- ბავშვის ვარჯიშს რაც უფრო ადრე დაიწყებთ, უკეთესია. მოძრაობა აძლიერებს ძვალ-კუნთოვან სის-



გაფანტული სკლეროზი და პროლემები

გაფანტული სკლეროზით შეიძლება ყველა დაავადდეს. მაგრამ მორჩენით ჯერ არავენ მორჩენილა. ამ უმძიმესი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ადამიანთა და სიცოცხლის სურვილით შეიძლება.

ტემას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს და ანონასნორებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, მებრუნებული პოზის მემუვიინით ათავისუფლებს მუცლის ღრუს ორგანოებს და აადვილებს საჭმლის მონელებას, ელასტიკოს ხდის ხერხემალს, ხელს უწყობს თავის ტვინის ფუნქციონირებას. თბილ, შემდეგ კი ცივი წყალში ბანაობა აძლიერებს იმუნობიოლოგიურ ძალებს.

აი, ამ მეთოდის საიდუმლო.

- როგორც ვიცით, თქვენთან ბავშვები დაგვიანებით მოჰყავთ, როცა მშობლები საავადმყოფოებში და პოლიკლინიკებში საშველს ვეძარ პოულობენ.

- ამ თერაპეტი წლის მანძილზე, ბევრი ბავშვი გადაძირჩინა, მათი ჩამოთვლა შორს ნახავთ. გაამბობთ ორ შემთხვევაზე. ერთი კასპშია მაგია, ჩემი ნანონებების ახალშობილი, უკვე გარდაცვლილი მორგში მოათავსეს. სამი საათის შემდეგ გონს მოვიდა და ნეკროლოგიურ განვითარებაში გადაიყვანეს. ექიმებმა ბავშვის არასრულფასოვნება დაადგინეს და მშობლებს დატოვება უჩრჩეს.

თერთმეტი დღის მიშკო ჩემთან მოიყვანეს. მე სახინაფოდ ჩემი მასწავლებელი ჩარკოვსკი მოვიწვი მოსკოვიდან. თვენახევრის ბრძოლის შემდეგ ბავშვი სრულად ჯანმრთელი დავუბრუნე მშობლებს. დღეს მიშკო საღალამათი ბიჭუნაა და „ქეთინი ექიმის შვილს“ ეძახიან.

მეორე შემთხვევა ბორჯომის სამშობიარო სახლში მქონდა. დღის 4 საათზე ბავშვის მამის თხოვნით, დღენაკულში წვილი, რომელიც ერთ კილოგრამ იწონიდა და მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, სამშობიაროდან ნაშოვიყვანეთ. რა თქმა უნდა, ექიმები არ გვატანდნენ. ვინაიდან ამ ოჯახმა პირველი შვილი ჩემთან გაზარდა, მენდობოდნენ. ჩვილს მამინე ჩაუტარებო ყველა პროცედურა და ორი თვე ჩემი ზედამხედველობით ვმკურნალობდით. ახლა ის ძლიერი და ჯანმანგარი ბჭია.

მთავარი ისაა, რომ უნამლოდ გადაჩრჩენილი ბავშვები უნაკლონი იზრდებიან, ქიმიური პრეპარატებით ნამკურნალევი კი ორი წლის ასაკშიც ნელს ვერ იჭერენ და შემდეგ ჩვენთან მოჰყავთ დაავადებით. ასეთი ავადმყოფები მძიმედ გამოდიან მდგომარეობიდან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჯანმრთელები მჩლიან.

- თქვენთან „ბაყაყურად“ რეკლამი ჩვილები ვნახე, რამდენადაც ვიცი, უცხოეთში აკრძალეს მუციაზე წოლა.

- ბავშვის მუცელზე წოლა აუცილებელია. ამ დროს დაფიქსირებული აქვს ხელები, ფეხები, ნიკაბი, კარგად ვითარდება ხერხემალი, არ ანუხებთ გაზბენ და, რაც მთავარია, თავის ფორმა ღამაში რჩება. ამდენად, ჩვენ საკუთარი მეთოდებით ვხელმძღვანელობთ.

ქეთევანს მუშაობაში ეხმარებიან საკუთარი ძმა, საკმაოდ გამოცდილი მასპინძელი და ბავშვების მშობლები, რომლებიც ათი დღის განმავლობაში ეუფლებიან ვარჯიშებს და შემდეგ ექიმის მეთვალყურეობით აგრძელებენ. ვინც პირველი ბავშვი ქეთინი ექიმთან გაზარდა, სხვა შვილებიც აქ მოჰყავთ.

ბევრი ახალი გავიგე ფორმა „მაუჯლის“ კოლექტივთან და ქეთევან მერებაშვილთან სტუმრობისას. დღეს საქართველოს ნამდვილად სჭირდება მისი ენთუზიაზმი და თავდადება, ცოდნა და გამოცდილება. ჩვენს ერს ძლიერი და ჯანმანგარი თაობა სჭირდება.

გაფანტული სკლეროზი ცენტრალური ნერვული სისტემის მუერნეული დაავადებაა. ტვინიდან სხვადასხვა ორგანოებისაკენ წამოსული სივანები ამ ავადმყოფებს ძალიან შეფერხებული ან სრულიად გამქრალი აქვთ. მაგალითად, მათ ხელის აწევა სურთ და ვერ ახერხებენ. ავადმყოფთა ონება ნათელია, ინტელექტი შეიძლება უფრო ამაღლდეს, ავადმყოფთა კი ყოველწლურად პროგრესირდება და მოხუცებულობაში ადამიანები სრულიად კარგავენ სენსას, მხედველობას, მოძრაობას და მეტყველებას უნარს.

გაფანტული სკლეროზის გამოშქვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი არც გადადებია და არც მემკვიდრეობითი. დღეს ამ მძიმე სენის მსოფლიოში 2.6 მილიონი ადამიანი დაავადებული.

- ადრე ფიქრობდნენ, რომ გაფანტული სკლეროზით 20-დან 40 წლამდე ასაკში იყავი ავადდებიან. - ამბობს ნეკროლოგი ალექსი ბოიკო. ბოლო წლებში მოხდა მკვეთრი ვახალვაზრდავება - გვხვდებიან 10 წლის პაციენტებიც. თანამედროვე მედიცინა შეუძლია ავადმყოფობის მხოლოდ დროებით შეჩერება, მთელი სიმძიმე ახლობლებზე გადადის. მკურნალობისას მთავარია ავადმყოფი ხანგრძლივობის აქტიურ წევრად გრძნობდეს თავს.

გაფანტული სკლეროზის მიზეზების კვლევაზე აშშ-ში სახელმწიფო ბიუ-

ჯეტიდან ყოველწლურად 15 მილიონი დოლარი იხარჯება. შიღსე ბევრს აძლევს. ერთი ავადმყოფის მკურნალობა კი 50 ათასი დოლარი ჯდება.

რუსეთში ამ საკითხებზე მხოლოდ რამდენიმე ათეული მეცნიერი მუშაობს. მხოლოდ 1997 წელს 1-ლი საქალაქო საავადმყოფოს ბაზაზე ბევრს ავადმყოფთა რეაბილიტაციის ცენტრი, (აშშ-ში 100-ზე მეტია) რუსეთში ამ დაავადებით დაინავადებულები წლობით ელიან რაც, რომ მიიღონ პრემიებიული ანგარიშის ეტლი. ამ „ბედნიერების“ შემდეგ კი გადაადგილებისათვის სკლეროზის ხდება ბინებში კვლევის განხრევა და ა.შ. პრემიებიუტება ლუფტთან დაკავშირებითაც. ამიტომ, სახლის გარეთ მუშაობა ამ ავადმყოფთაათვის წარმოდგენელია.

1995 წელს მოსკოვში შექმნა სკლეროზით დაავადებულითა საზოგადოება, რომელშიც 700 წევრია გაერთიანებული. ეს საზოგადოება მხოლოდ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით არსებობს. გაფანტულ სკლეროზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის დამუშავებისათვის აუცილებელია ნაციონალური ასოციაციის შექმნა, რომლის რეგისტრაციისათვის რუსეთის წევრები არ ჰყოფნის. (ასეთი ასოციაცია არსებობს მოხაბიკშიც კი).

ბორის უსტიპოვი, „მოსკოვსკე ნოვოსტი“.

ირმა ჩოჭოკაშვილი

ჩემი ქვაბი ჩემ აქა...



– ქონ დოლო, ჩვენ კოლეგები ვართ, ჟურნალის რედაქტორები, ძნელ დროში მოგვიწია ჟურნალის გამოცემა: ორივემ შესანიშნავად ვიცით, რასთან არის ეს დაკავშირებული. გულწრფელად გეტყვით, გაცოცხლებული დაგრჩი, როცა პირველად თქვენს მიერ ხელმოწერილი ძვირფასად გამოცემული, თვალმანარა და ფერადოვანი „დილა“ ვნახე. მანამდე ხომ „დილასაც“ ისევე უჭირდა, როგორც სხვა ჟურნალებს და უცებ ასეთი სასიამოვნო მეტამორფოზა. მითხარი, როგორ მოახერხეთ ეს, რით დიწყეთ, უფულობას რა ხერხით შეებძოლოთ? ვის ემადლიერებით ყველაზე მეტად?

– თავდაპირველად დიდი მადლობა მინდა ვითხრა, ჩემთვის საყვარელ ჟურნალში რომ მომიწვიეთ. რაც შეეხება ჟურნალ „დილას“, მას ისევე უჭირს დღეს, როგორც ყველა ძირძველ რედაქციას, მიუხედავად მისი სასიამოვნო გარეგნობისა. ჟურნალი ბულგარეთში იბეჭდებოდა, სამწუხაროდ, საქართველოში ბეჭდვა ორჯერ ძვირი გვიჯდება. ზუსტად ჩვენზეა ნათქვამი „ზოგი ცირი მარგებელია“.

რაც შეეხება უფულობასთან ბრძოლის ხერხს – დედას გეფიცებით, ნამდვილად არ ვიცი, თორემ თქვენ, როგორც კოლეგას, მაინც გავიმხელებდი, რა გზით შეიძლება ფულის შოვნა!

ყველაზე დიდი მადლობელი ჩემი ოჯახის ვარ. ჩემი ძმები რომ არა, ჟურნალი „დილა“ კარგა ხნის დახურული იქნებოდა!

– სწორედ ამის კითხვა მინდოდა: თუ ეხმარება „დილას“ თქვენი ძმის – თამაზ წიწვიკაძის ფაქტორი ან მორალურად, ან მატერიალურად?

– ჟურნალ „დილას“ თამაზ წიწვიკაძემ ხმალამოებული უღვას გვერდით, ის რომ არა, ჟურნალი ყოველწუთს შეიძლება ქუჩაში აღმოჩნდეს!

ინტერვიუ

„დილას“

რედაქტორთან

დოდო

ნივნივიაქესთან



– როგორ ძლეეთ გავრცელება-გასაღების სირთულეებს, თქვენი თითოეული ნომერი ხომ არც ისე იაფია, ყველა ბავშვის მშობელმა ადვილად გაიკრას ჯიბეს ხელი?

– ჟურნალის ტირაჟი დიდი არა გვაქვს. ღმერთმა ნუ ქნას, დღეს საქართველოში 2000 მშობელი არ მოიძებნებოდა, ვისაც „დილა“ არ უყვარდეს და თავის შვილებს არ შეუძინოს.

ისე, ქალბატონო ნარგიზა, ჟურნალი საბავშვო რომ არის, ალბათ იმიტომ ეჩვენებათ ძვირი, თორემ ორ თვეში ერთხელ გამოივალი ჟურნალისათვის 2 ლარი არც თუ ისე ძვირია.

– ჰონორარები ან სულ არა გვაქვს ან ძალზე სიმბოლური, ამის მიუხედავად, თქვენთან (ჩემთანაც) სიამოვნებით მოდიან მშვენიერი საბავშვო მწერლები, კეთილშობილი ადამიანები, მოაქვთ ასევე მშვენიერი ლექსები და მოთხრობები. რით სსნით ამ ფაქტს?

– ქალბატონო ნარგიზა, ჟურნალ „დილაში“ არა მარტო საბავშვო მწერლები, მხატვრებიც მოდიან. ყველა ისინი თითქმის ჰონორარის გარეშე მუშაობენ! ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს, მათი დიდი ადამიანობა და საოცარი კეთილშობილება!

– რა გრძობებს აღძრავს თქვენში სიტყვები „საბაზრო ეკონომიკა“?

– ძალიან ცუდს, რადგან 95 წლის ჟურნალი თავისი არსებობის მანძილზე გამომცემლობის ხელმძღვანელებმა ქუჩაში მოისროლეს. სხვათა შორის, ასეთი სიტყვებით: „ასე იცის საბაზრო ეკონომიკა“.

– რა სამწუხაროა, რომ სიტყვები ემოცია, მორალი და მისთანანი ისე არ ესადაგება და არ უხდება „საბაზრო ეკონომიკას“, როგორც ერთ უერპანტურა შინაურ ცხოველს – სამკაული.

მაგრამ რა გაეწყობა! იქნებ მომავალში მდგომარეობა შეიცვალოს!

— როგორც გეხსებათ ჟურნალის მომავალი?

— არც თუ ისე ცუდად!

— ორიოდ სიტყვა თქვენზე, რა პროფესია გაქვთ, სად გიმუშავიათ. თუ წერთ, რა ჟანრში მუშაობთ, ოჯახური მდგომარეობა.

— პროფესიით ჟურნალისტი ვახლავართ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“, შემდეგ გაზეთებში „ბანიკი“, „პრისმა“ და „საქართველოს პარლამენტი“. ეტყობა იქ გამოქვეყნებულ წერილებს მართო ჩემი ოჯახის წევრები კითხულობენ, თორემ სხვა შემთხვევაში ამ შეკითხვას არ დამისვამდით. ამიტომ ჩათვალეთ, არც ერთ ჟანრში არ ვმუშაობ. მართო მკითხველი ვარ!

— თავმდაბლობა, მართალია, ამშვენებს ადამიანს, მაგრამ შეტისმეტუ... თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში საბავშვო მწერლობა და მწერლები ისე დაფასებული, როგორც ეს ხალხი და თვით ჟანრი იმსახურებს? რა უნდა გაკეთდეს ამის მისაღწევად?

— მწერალი საქართველოში რომ არის დაფასებული, ვფიქრობ ისე არც ერთ ქვეყანაში არ არის. ეს ჩემზე მეტად თქვენ მოგეხსენებათ, ქალბატონო ნარეჯია!

რაც შეეხება იმ ავად მოსაგონარ წლებს, როდესაც მწერლის წიგნებს წვავენ, ის დრო დემერტმა გვაშოროს.

დღეს მწერალი თავის ავტორიტეტს იბრუნებს. ის, რომ საბავშვო მწერლებს დაფასება აკლდეთ, ნაკლებ სარწმუნოა. უჭირს ქვეყანას და მასთან ერთად უჭირს მწერალსაც.

უკეთეს საქართველოში ყველაფერი დალაგდება. მწერალიც თავის ადგილს დაიკავებს, რა თქმა უნდა, დამსახურების მიხედვით.

— მეც ამის დიდი იმედი მაქვს. და ბოლოს, თუ კითხულობთ „საქართველოს ქალს“ და რას ეტყვიან თქვენს კოლეგებსა და მათ მკითხველებს?

— თავიდანვე მოგახსენეთ, „საქართველოს ქალი“ ჩემი საყვარელი ჟურნალია-მეთქი! სურვილით მკითხველის სიმრავლეს ვისურვებთ. თქვენ კი „საქართველოს ქალის“ მკითხველებო, როდესაც იმ კარგ ჟურნალს იყიდით, ნურც ის დაგავიწყდებათ, თქვენი პატარებისთვის ჟურნალი „დილა“ რომ შეიძინოთ!

— დავსვენ მხოლოდ: ამ სიტყვებს რეკლამად ნუ ჩავითვლით ნურც ერთის და ნურც მეორე ჟურნალის რედაქტორს. ჩვენ ხომ თქვენთვის ვიდევწით.

ნარეჯია მგებლაძე

ხსოვნა



პარსკვლავებს მოწყდა პარსკვლავი

ვთქვით, რომ მშვენიერ ქართველ ქალთა თანა-ვარსკვლავები ნელ-ნელა ხელში შემოგვადნა.

არადა, რა იმედი გექონდა, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ჩვენ მართო „მათი ემზო დაგვიფარავდა“.

ცის კაბადონზე ნატო ვაჩნაძის მართლაც ვარსკვლავით გაელეგება და ჩაქრობამ დაუღო სათავე ამ ვარსკვლავთცვენას. ვერიკო, თამარ ციციშვილი, მედეა ჯაფარიძე... არ შეიძლება მათი მშვენიერების შემხედვარეს არ გაგემორეზინა, „რომ სილამაზეს არ უწერია გადაყენება“.

სულ ახლახან კი კიდევ ერთი მშვენიერა დაგვმორდა — ლია ელიავა.

ლია ელიავას ეკრანზე გამოჩენამ ქალის სილამაზის ახალი ეტალონი დაამკვიდრა ჩვენში. ეს არ იყო ყბადაღებული „სექს-ბომბა“. ეს გახლდათ კლემანსი, ამაყი, ნაზი და სიფრიფანა, მაგრამ არა თოჯინისებრი, არამედ მოაზროვნე, მშვენიერი ქალი. მისი მზერა „სასვე ქართული პატიოსნებით“ დიდხანს გრჩებოდა გულში მართლაც რომ უნაზეს ზღაპრად.

ზღაპარი დასრულდა.

მაგრამ საზედნეიროდ, ეკრანიდან მრავალი წლის მანძილზე შემოგვანათებს მისი შუქიანი, სევდიანი, აზრიანი თვალები, მოგვიბოლავს მისი გრაცია და დაგვრჩება სინანულიც, მის შეუსრულებელ როლებზე.

დასანანი არს ესე!

პირობითი ჩაფიქრება



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

ძალიან ხშირად ახალგაზრდა დედებს ერთი და იგივე შეკითხვები უჩნდებათ. სულ ერთია საქართველოში ცხოვრობენ ისინი თუ ჩვენში.

დედების შეკითხვებს უპასუხებს ცნობილი ჩეხი ექიმი მ. მატოუშევი. ყველა შეკითხვამ ივლისსხმებიდან ბავშვები ერთი წლის ასაკამდე.

სწორედ ეს შეკითხვები ვაღივლებთ თქვენც, ასე არ არის?

- ზოგი ქალი ტრიახობს: ჩემს ბავშვს საფეხები ხუთი თვიდან აღარ სჭირდება, რადგან ლამის ქოთანზე ვცავამო. რა ასაკიდან შეიძლება ბავშვი ქოთანზე დაეცვა?

- ეს მაშინ ხდება, როცა ბავშვი უკვე თავისუფლად ზის. ჩვეულებრივ, შვიდი თვის ასაკიდან.

- მაგრამ ამ ასაკის ბავშვს ხომ არ ესმის, რატომ სვამენ ქოთანზე. ამიტომ შეიძლება მთელი საათი უშედეგოდ იჯდეს.

- საქმეც ის არის, რომ ბავშვს უნდა გამოუმუშაოთ პირობითი რეფლექსი. თქვენ უთუოდ გაგონილი გექნებათ რუსი ფიზიოლოგის პავლოვის ცდების შესახებ. როცა მის ძაღლს მთელი დღი დაეცა, რომელსაც მათთვის საჭირო მიჰქონდა, ძაღლს უკვე ეწყებოდათ ნერვების ძლიერი გამოყოფა. შემდეგ ამ კაცის გამოჩენას თან ახლდა ზარის რეკვა. ბოლოს მარტო ზარის ხმაზე ძაღლს იგივე რეაქცია ჰქონდათ - გამოუმუშაოდა დიდი რაოდენობით ნერვები. ძაღლებსაც ხომ არ ესმოდათ, რა ხდებოდა, მაგრამ ნერვების გამოყოფა უნებლიეთ, გაუცნობიერებლად ხდებოდა. უბრალოდ, მათ გამოუმუშავდათ რეფლექსი, რომელსაც შემდგომ პირობითი ეწოდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი პირობითი რეფლექსი გაქვთ თქვენ თვითონაც გაუცნობიერებლად და რამდენ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმართავენ ისინი.

- სისუფთავის დაცვა მიაკუთვნებთ პირობითი რეფლექსებს?

- გარკვეულწილად კი, მართალია, ბავშვი ვერ ხვდება, რას მოითხოვენ მისგან, მაგრამ კუჭის მოქმედების მიღწევას ქოთანზე დასისხას, შეიძლება მიაჩნოთ. ამისათვის ჯერ უნდა დააკვირდეთ, როგორ ყვება კუჭის მოქმედება. ბევრი ბავშვი ასეთ დროს ჩუქდება, სხვა გახართობს თავს ანებებს, ნითლდება, იჩივებდა. ზოგს ეს აღინიშნება გავიწყებისთანავე, ან საჭმლის მიღებისთანავე. ასეთ დროს ბავშვი მაშინვე უნდა დაეცვათ ქოთანზე, სულ რამდენიმე წუთით. ამ დროს, თუ ჯერ კიდევ დამოუკიდებლად კარგად ვერ ზის, თქვენ უნდა დაეხმაროთ. რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა ააყენოთ, იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა კუჭის მოქმედება. ეს რამდენჯერმე უნდა გაიმეოროთ.

პირიცები ის გახლავთ, ბავშვის ნერვულმა სისტემამ „დაიამბასოროს“, რომ ქოთანზე ხდომია დაკავშირებული კუჭის მოქმედებასთან.

ქოთანი არ უნდა იყოს ცივი. ცხადია, რამე ძალდა-

ტანება ბავშვზე გამოიციხვლია. ბავშვს არ უნდა ჰქონდეს ქოთნიდან გადმოვარდნის შიში და არც ის არის სასურველი, ამ დროს სათამაშოებზე გადაეიტანოთ მისი ყურადღება.

დედას უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის ხანგრძლივი ჯდომა სულაც არ უწყობს ხელს საჭირო რეფლექსის გამოუმუშავებას. შეიძლება პირიქითაც მოხდეს - პატარამ შეიძულოს ქოთანზე ჯდომა.

საერთოდ, ორი წლისა იწყებს გაგებას, რას ითხოვენ მისგან.

- ალბათ სულ უნდა ვცდილობდე, არ დაუშვა შექცევა მის აღზრდაში.

- დიას. როცა მშობლებს ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით აღზრდის თაობაზე ვესაუბრები, ისინი მიდიან აღსავსენი წრმებით, რომ სწორად ასე მოქცევით, მაგრამ ვაძის დრო და მათ მოთმინება ღალატობთ. ურჩევნიათ, უმაღლეს დააკმაყოფილონ ბავშვის კაპრიზი, ვიდრე მოთმინებთ, განმეორებით ეცადონ, სწორად წარმართონ აღზრდა. არადა, შედეგი, რომელსაც მოთმინება და მოზადინება გამოიღებს, ნამდვილად ღირს ამაღ.

ვიცი, ახლა გაიფიქრეთ: სადა მაქვს იმდენი დრო, რომ ერთი და იგივე საჯერ გავემეორო, მაგრამ გარწმუნებთ: კარგად აღზრდილი ბავშვი ნაკლებს ჭირვეულობს, კარგად ეჩვევა დისციპლინას და მომავალში უამრავს დროს და ენერჯიას დაგიზოგავთ. ამიტომ კვლავ გირჩევთ მოთმინებას და თანამიმდევრულობას.

- ბავშვი გაცვივებულია და ახველებს. გიონი სიცხეც აქვს.

- მას სასუთიტი ვზევის კატარი და მსუბუქი ბრონქიტი აქვს. რატომ არ გაუზომეთ ტემპერატურა?

- თერმომეტრს იღილის ქვეშ არ იჩერებს. უკანა ტანში კი შემეშინდა თერმომეტრის გაკეთება.

- ექვსი თვიდან იღილისზე შეიძლება სიცხის ვაზომვა. დისციტი მუხლებზე ზურვით თქვენსკენ. ერთი ხელი მაგრად მოხვიეთ მკერდზე, მეორეთი თერმომეტრი ჩაუდეთ. თვალყურს ადევნეთ, რომ ვერცხლისწყლიანი ბოლო იღილის ქვეშ ჰქონდეს, მაგრამ უფრო ზუსტ ჩვენებას სწორ ნახლებში ჩადგმული თერმომეტრი მოგცემთ. ბავშვი ისე უნდა დაიჭიროთ, რომ გამოიჩინოს მკვეთრი მოძრაობები, განსაკუთრებით ფეხების ქენვა, რის დროსაც შეიძლება თერმომეტრი გატყდეს.

ბავშვი ზურგზე დაწვინეთ, მარჯვენა მხრით თქვენსკენ. მარცხენა ხელი მის მარჯვენა მუხლქვეშ გაატარეთ. მეორე ირვი ფეხი მოუხარეთ ისე, რომ მუხლებში მუცელზე მიერას. ამით თავიდან აიცილებთ ყოველგვარ მოულოდნელ მოძრაობას.

თერმომეტრს წვერზე ცოტა ვაზებლინი ნაუსეთი და 3-4 წუთი, სანამ ტემპერატურის ზრდა არ შეწყდება, გქონდეთ ბავშვის სწორ ნახლებში.

- 37 გრადუსზე სიცხე უკვე ანუღად ითვლება?

- გააჩნია, როგორ ვაზომთ. იღილის ქვეშ ის უკვე ანუღად, უკანა ტანში კი ტემპერატურა 3-5 ხაზით მაღალია. ეს ზოგადად. ისე, არამა ჯანმრთელი ბავშვები, რომელთა ჩვეულებრივი ტემპერატურა 38 გრადუსია.

არამც უნდა და არამც თერმომეტრი არ მისცეთ ბავშვს, რადგან უსათუოდ გატყდება, ვერცხლისწყალი კი სანამაღლია.



ჩასახვის სანიტარულ-საუკლებო საუკლებები

შობადობის რეგულაცია ერთ-ერთი წამყვანი ცენტრალური-სოციალური პრობლემაა. სამწუხაროდ, საქართველოში აბორტი კვლავ რჩება შობადობის რეგულაციის გავრცელებულ მეთოდად.

აბორტთან ბრძოლის ეფექტური მეთოდია ოჯახის დავეკემის თანამედროვე საშუალებების პრაქტიკაში დანერგვა, მონარდებსა და ახალგაზრდებს სქესობრივი აღზრდის სწორი წარმართვა, ახალგაზრდობას კარგად უნდა ჰქონდეს გაზრებული აბორტის სამედიცინო და სოციალური მაგნებლობა, უნდა იყოფეს სქესობრივი გზით მიღებული დაავადებების არსებობა, მათი პროფილაქტიკა, შიდა-სის გავრცელების ზეგბი და უნდა იცნოდეს მათი თავიდან აცილების საშუალებები.

სამწუხაროდ, საქართველოში კონტრაცეციის თანამედროვე მეთოდები არასაკმარისად გამოიყენება. ამის გამო არასასურველად დიდია აბორტების რიცხვი. კონტრაცეციის ამ მეთოდებს შორის, რომლებიც გამოიყენება სქართველოში, საშვილოსნოშიცა საშუალებების (სსშ) - სპირალები ზვედრითი წონა ევლახე მალაია.

პირველი სსშ შექმნა 1928 წელს გერმანელმა გინეკოლოგმა ერნსტ გროფენბერგმა. გროფენბერგის რგოლის მიზნით ნაწილი გაკეთებული იყო აბორტების მაფისაგან, ხოლო გარედან შემოწნული ჰქონდა „გერმანუ-

ლი ვერცხლის“ (სპილენძის, ნიკელისა და თუთიის შერადნობა) მავთული. ამის შემდეგ იაპონელმა ოტამ დამაზადა ახალი სსშ. იგი წარმოადგენდა ოქროს და მოთქვილი ვერცხლის რგოლს, რომლის ცენტრში ჩხირებით მიმაგრებული იყო პატარა დისკი. ეს საშუალებები გარკვეული წარმატებით სარგებლობდნენ, მაგრამ ექიმების უარყოფითმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა მათ ფართოდ გავრცელებას.

60-იან წლებში დაიწყო ე.წ. მეორე თაობის სსშ-ის მარგულიის სპირალის წარმოება. იგი დამზადებული იყო პლასტიკისაგან, რომელსაც დამატებული ჰქონდა ბარიუმის სულფატი რენტგენოკონტრასტულობისათვის.

1962 წელს ექიმმა ლიპესმა შექმნა ლიპესის მარეფი, რომელიც დღესაც საკმაოდ გავრცელებულია. ამ სსშ აქვს ორმაგი ასო S-ის კონფიგურაცია, რომელსაც ქვედა ნაწილზე მიმაგრებული ჰქონდა ნეილონის ძაფი, რაც აადვილებდა მის გამოღებას საშვილოსნოს დღურად, ასევე იძლეოდა შემოწმების საშუალებას.

1974 წლიდან დაიწყო სპილენძის შემცველი სსშ-ის ერა. ამჟამად გამოდის სპილენძის შემცველი სსშ-ის 70 სახეობა.

ქიორგულიო სტერილიზაციის შემდეგ სსშ-ს გავრცელების მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს კონტრაცეციის სხვა მეთოდებს შორის. მიუგლს

სოფლიოში თითქმის 110 მილიონი ქალი იყენებს სსშ-ებს კონტრაცეციის მიზნით. განსაკუთრებული პოპულარობით საშვილოსნოშიცა საშუალებებით სარგებლობენ ჩინეთში, ინდოეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სსშ-ით კონტრაცეციის პოპულარობა იმითაა განპირობებული, რომ:

1. ჩასახვისაწინააღმდეგო მალაღვეფქტური საშუალებაა.
2. კონტრაცეციის შექცევადა მეთოდი და ქალის ნაყოფიერება მისი ამოღებისთანავე აღსდგება.
3. ჩადგმისთანავე მოქმედებს და გავლენას არ ახდენს ქალის სქესობრივ ცხოვრებაზე (უკანასკნელ ნაწებში განწნა მონაცემები, რომ სსშ იწვევს დაღებით ძვრებს ქალის სქესობრივ ცხოვრებაში).
4. შესაძლებელია გამოყენებული იქნას უფროსი ასაკის (35 წლის ზემოთ) ქალებში, რომლებიც ვერ იყენებენ პორმონალურ კონტრაცეციის.
5. სსშ შეეყნის შემდეგ საჭიროა მინიმალური სამედიცინო დახმარება და დაკვირვება.
6. საშვილოსნოშიცა საშუალებების ეფექტური კონტრაცეციული მოქმედება ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში (5-8 წ.) გრძელდება.
7. სსშ-ის გამოყენება შეუძლიათ მემუქურ ქალებსაც, ვინაიდან იგი

ლაქტაციაზე გავლენას არ ახდენს.

სსშ-ების გამოყენება სასურველი არ არის ქალებსათვის, რომლებსაც ჰყავთ ერთზე მეტი სქესობრივი პარტნიორი ან მათ პარტნიორს ჰყავს ერთზე მეტი სქესობრივი პარტნიორი, რადგანაც იზრდება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით დაინფიცირებისა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ანთებითი დაავადებების გავრცელების შანსი.

საშვილოსნოშიცა საშუალებების კონტრაცეციული მოქმედება ორმოდენ ერთი მექანიზმით არ არის გამოწვეული.

1988 წლიდან ი. შორღანის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზაზაზე კლინიკური აპრობაცია გაიარა ზუთი სახეობის საშვილოსნოშიცა საშუალებამ. მრავალწლიანი კლინიკური დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნული საშუალებები გამოირჩევა მაღალი კონტრაცეციული ეფექტურობით.

ამრიგად, საშვილოსნოშიცა კონტრაცეცია მალაღვეფქტური შეცევადა მეთოდი. მისი წარბატებით გამოყენება დამოკიდებულია ქალის წინასწარ გულდასმით გამოკვლევაზე და ექიმის კვალიფიკაციაზე.

პირობა ცრცხაკაპი

შედიცინის მეც. კანდიდატი, ი. შორღანის სახ. ადამიანის რეპროდუქციის სქ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს
ცენტრალური

ეთერ ჯილაურის ხსოვნას

და წყენით სიკვდილს ჰკლავ,
და ტევადია სევდა,
და პეშვით აღარ სვამ,
ჩქერით მიერთმევ ფერთა.
სიტყვას მოიქნევ უცებ,
ელვას და ქუხილს შერთავ,
ურვას არ ატან წყალს
და გემცხებეთა მცხეთა.

XXX

სიბრძნეა სიკვდილის მალამო
ო, განვედ!
აკენები დაირნეს...
ექიმო,
ექიმო,
ექიმო,
არ ავნო,
სულიდან, სულიდან
სულიდან დაინყე.

მეგობარს

შენი მეფური დიდებულებით
ან პიროვნებით
კი არ გვენუკვი,
სულის ცხოვრების საიდუმლოებს
მივენდე შენში
და ძალს ბერშუხის...

ნუნუ კერესელიძე

მარტოხელა ქალს

ნუ სწუხარ, თუ ნაწყენი ხარ,
თორემ ცრემლი თოვლად მოთოვს,
ვერ იმნარებ სიმწრით მწარეს
და პასუსხაც გულს ვერ მოსთხოვ.
უნდა შესვა თასი სიმწრის,
სთქვა: „ასეთი ეს და ვიცი“...
რომ არ მოჰკლას სევდა წყენამ
და სიბერემ – აღმაფრენა.

აკაკის

ღმერთო, დამზოგე აღსრულებად რაც დამავალე
და აღმდგინე სამშობლოს მოვლად,
ცოცხალ სიჩუმით, არა სამარის,
სიკეთით, ცხოვლად.

ო, შენმა ღმობამ,
მე დავრჩი ობლად,
და ბევრს არა გთხოვე:
მე მინდი მშობლად...

„ღედინაცვალო, ჩემთან პირშავო“,
ბედო, ძმისაგან ძმის გამთიშავო,
მე დავეთხოვე დაისებს, ხოლო
„შენ ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო“.

საყვანელი

მამიე ბუღა

– რომელი ხის ტოტზე უნდა
შემოდგათ თქვენი „ცის ტოლა“
ბუღე, პა? პა?

ყვავებმა რომ ვერაფერი მოი-
გონეს პასუხის გადაცემად, მზის
სხივს ერთი კი შეუბღვირეს და
ისევ გაფრინდნენ. ასე ყოველდღე
მიფრინავდნენ და მოფრინავდნენ.
ხან საქმელი მოჰქონდათ ბაბალე-
ბისათვის, ხან ნივთები და ბუდეში
ყრიდნენ. ამასობაში ბაბალები მო-
იზარდნენ, ფრენა ისწავლეს და
ბუდეშიც აღარ ჩერდებოდნენ. კი-
დეც კარგი, ისწავლეს ფრენა; ერ-
თელად ხის ტოტმა, რომელზეც
ბუდე იყო გადებული, ვეღარ გაუძ-
ლო სიმძიმეს, ისე დაიხილა, რომ
ბუდე გადმოაყრიავა და მიწაზე
ჯამითე დაამხო პირქვე.

– გვრეც ვიცოდი! – ჩაიქირქი-
ლა კოდალამ.
ხის ლამაზ, აბურდულ რტოებ-

ში ძლივს გამოეტია მზის სხივი,
მინაზე გაფანტულ ზიზილ-პიპი-
ლებზე ბრჭყვიალ-ბრჭყვიალით
გადაიბრძინა.

– უი, ეს მძივები ხომ გოგონა
ნანასია?! ეს ქიძისთავი – ქეთი-
ნოსი, ეს პანია ჭრელტანა დანა –
გიასი; ეს კოვზები, სარკე, მაკრა-
ტელი, ნემსებიც იმათია. სათვალე
– სოსო პაპასი! – მოჰყვა ტიტინს
და აღარ გაათავა, – უი, უი! ეს ამა-
თი და ეს ამათიო...

– აკი რიყეზე ყრიაო? – იკითხა
კუნელის ბუჩქის ძირას მიმჯდარმა
სოკომ.

– მაშ, სულ ეგრე ყრია რიყეზე!
– ჩაიქირქილა კიდეც კოდალამ და
გრძელი ნისკარტი ნემსივით შეუ-
ყარა ფუტუროს; თავისი საქმე გა-
ნაგრძო...

ყვავები გასუსულები და მო-
ლუშულები ისხდნენ ხეზე და ყყვი-
ჩებივით აბლატუნებდნენ თვა-
ლებს.

კაჭკაჭი ისევ ვარბოდა და გა-

მორბოდა ხის ტოტზე; გული ამო-
ვარდნაზე ჰქონდა: „ჩემი ბუღის
ტოტიც ხომ არ იზნიქებაო?! –
აქეთ-იქიდან შეჰყურებდა შესა-
მონებლად თვალბედაცეცებული.

პაპელას განსიძინება

შარაზე კატა ნანუნამ ჩამოი-
რა. აბზეკილი კული დროშასავით
ჩამოატარა.

– რა კარგი კულია! – ასკილის
ბუჩქებზე ფრთების ნელი რხევით
გადმოიფარფავატა პეპელამ. კატას
კულის ნეერზე დაასკუშდა.

– ეე! – მოიქნია კატამ კული,
პეპელა ისევ ზედ მოექცა, თან შე-
უნებია: – მასიორნე, რა!

– ევლა მაკალა, ვინმე ვასეირ-
ნო, ფრთები გაქვს და ისეირნე,
რამდენიც გინდა! – შეუბღვირა კა-
ტამ და ისევ მოიქნია კული. პეპელა
მაინც არ მოშორდა.

– რა იყო, ნიავევით ვარ, ხომ არ

პერ კაულო პაზოლინი

ჯანი როდარი

ჩემს ფრიულიას

ნიგნიდან „პოეზია ვარდისებური წრეა“

ჩემს ფრიულიას¹ და ჩემს უდოლეს² მხოლოდ სამოთხის მხარეს ვუტოლებ, აქ, ამ სივრცეში კვლავაც ერთდება, სივრცით სამება, სწორედ უდოლეს გასაღმერთებლად.

ეს უმდიდრესი ზღვა და ხმელეთი, ზეცა უძირო, ზეცა კამკამა, და ეს მისივე მინისქვეშეთი, გადაქცეული მადანთ სამკალად, არის ოდითვე თვით იტალიის, მთლად იტალიის მასაზრდოები წყარო ანკარა. ... და ფრიულიას გასაცნობლად, ანდა უდოლეს ღირსსაცნობლად, მარტო ლექსები ჩემი არ კმარა!

1. ფრიულია - ჩრდილო იტალიის ტერიტორია
2. უდოლე - ფრიულიის ცენტრალური და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი

მრავალმზის ბალი

ნიგნიდან „მრავალმზის ბალი“

გაგიგონიათ?! - ერთი კი არა, მრავალმზის ბალი, მრავალმზის ბალი, მინად რომ ხარობს, აქვს მწვანე თალი. და სიმწვანეში, ფოთლის შრიალში, მნიფე ნაყოფით, მზისფერ ნაყოფით, აქა-იქ სწორედ ანათებს მზისებრ, შორით კი მოჩანს და გეგონება, მხოლოდ მზისფერი, მხოლოდ ყვითელი, ცით ჩამოსული მრავალმზის სახლი. ეს ხომ ლიმონთა პლანტაციაა, მონუსხული ჰყავს რომლის სურნელსაც, ო! არა მარტო მოზარდ, ბაღლი, არამედ ყველა, მის ახლო-მახლო, ვისაც კი უდგას თუნდ ფიჭვის ტახტი, ასეთი არის მრავალმზის ბალი, ლიმონთა ბალი, მზისფერი ბალი, შორით რომ მოჩანს სწორედ მზისფერად და გეგონება მრავალმზის სახლი.

იტალიურიდან თარგმნა ნაზი ჭაღიაძე

ბეკრაღი - ქოქონი

დაგამიძიმებ? - უსაყვედურა კატას.

- გინდა ნიავეით იყავი, გინდა ტყვიასავით... რას გადამეკიდე, შე, ნითლე-ყვილით და აჭყატულო, ფხუჟ! - მუფხუჟუნა გაავებულმა კატამ და რაც შეეძლო კული მაგრად მოიქნია. კულდამოცლილი პეპელა ისევ ჰაერსა მერჩა; ნანყენმა ერთხანს იქნია ფრთები, მერე ასკილის ბარდს მიამბურა, ტოტზე მიეხუტა და შესჩივლა:

- იცი, ნანუნამ თავის კულს ახლოს არ მიმაკარა, თანაც, აჭყატულოო, ასე დამიძახა.

- უყურეთ იმ ბღენძიას?! - აჭყატულოო!, არა... თუ მაგრეა, მაშინ ეგ კულა მაგი მურთხია. არ დალონდო, ჩემო დახატულო, მე გაქანავებ, რამდენსაც გინდა! - მიეფერა ასკილის ბარდი და ის ტოტი ააქანავა, რომელზედაც პეპელა იჯდა...

უცერად ეზოს ჭიშკრიდან პა-

ტარა ფინია უფუფე გამოხტა. ჯერ კულანულ, მარაზე მიმავალ კატა ნანუნას გახედა, მერე პეპელას დაუძახა:

- მოდი, დახატულო, მე გასეირნებ, ნეტავ მაგ უმაქნისს რას ეხევენები, როდის იყო, ვინმესთვის თავს ინუხებდა, მოდი! - კული ასენია და პეპელას დაელოდა.

- მოდი! - ვიდრე პეპელა გონს მოეგებოდა, მე მეპატიუებოინო, ასკილის ბარდმა ტოტი აიქნია და პეპელა ჰაერში შეაგდო, პეპელაც გაქანდა და შუაშუს კულზე თბოეკონნიალა.

- ნავიდეო! - მხიარულად ჩაიყვია უფუფე, პეპელა რომ თავის კულზე დაიგულა და გაცუცულონდა. იცუნცულა, იცუნცულა... მინდორი, ველი, სერი შემოატარა, მანამდე არ გაჩერებულა, ვიდრე თვითონ პეპელამ არ თხოვა, გეყოფა სკირონობაო. უფუფემ პეპელა ისევ ასკილზე მოუყვანა და თბოონ

სახლში გაიქცა; მაღლობის თქმასაც არ მოუცადა.

პეპელამ ასკილის ტოტს ჩაუჩურჩულა:

- იცი რა, ფრთებიც რომ გქონდეს, მაინც კარგია, სხვა რომ გასეირნებ... იცი?

- ვიცი! - თავი დაუქნია ასკილის ვარდმა.

- იცი, - განაგრძო პეპელამ, - მე რომ შემემლოს უფუფის დაძვრა, ახლა მე ვასეირნებდი... იცი?

- ვიცი! კიდევ დაუქნია თავი ასკილმა.

- მე ვერაყის ვერ ძვრავ, მე ვერავის ვასეირნებ! - დალონდა უცბად პეპელა.

- ვინ გთხრობა? აბა, ფრთებზე დაიხედე...

პეპელამ ფრთებზე დაიხედა, ფრთებზე მზის სხივი ეჯდა და უცინოდა.

კადმუკის კუნაუდი



ასე უნდა ქვეყნის პრეზიდენტმა ამ შემოდგომაზე ძველი საბარათიანოს პატარა სოფლის, ნერაქვის ქართულ საშუალო სკოლას და გამოზამთრებულ-სათვის პირადი ფონდიდან 10 ათასი ლარი გამოუყო.

საპატიო სტუმარს 200 კომლიანი სოფელი ნელ-გამართული დახდა - ლამაზი ოღო-სახლებით, მოსავლიანი საკარნიდამოებით, ხილით დამდიმებული ხეებით და მეცხოველეობის საოჯახო ფერმებით. ოდითგან ულამაზეს სოფელს ძველი იერსახე შემორჩინია: ირგვლივ ამწვანებული მთებია კელაპტრები-ით დაწითებული ხეებით, შუაში - დაცემული ველი ყელყელა ყვავილებით.

სოფელი ნერაქვი მე-12 საუკუნეში კულტურულ ცენტრად იხსენიება. მისი ღვთისმშობლის ეკლესია კი მე-6 საუკუნისაა. იყო დაცემისა და აღდგენის წლები, უცხოთა შემოსევები და ისევ ქართველთა მობრუნება, ქართული ენის დამცირება და კვლავ აღდგენა. როგორც გაიხსოვება იმედაშვილი ნერს, წინათ, „საბარათიანობი ქართულის ნაცვლად თათრულ-სომხური ისმობდა, გლუხობდა, უჩინოდ მოაპროფენ, დაუწერავი ადათებით ცხოვრობდა; ისე რომ, მთელ ნერაქვეში ერთი კაციც არა ყოფილა ქართული ნერაკითხვის მქონდენ. არც ქართული სიმღერა ისმობდა... მხოლოდ 1919 წელს მამაჩემის ინიციატივით სოფელ ნერაქვეში პირველი ქართული ორკლასიანი სკოლა გაიხსნა“.

ქართველმა მოღვაწემ, იოსებ იმედაშვილმა საშვილიშვილო საქმე გააკეთა - ორკლასიან სკოლაში ქართული სიტყვა ააღორძინა. წეს დასაწყისი იყო...

1980 წლის 1 სექტემბერს ნერაქვეში სკოლა უნდა გახსნილიყო. მაგრამ... სასკოლო ასაკის მხოლოდ 4 ბავშვი აღმოჩნდა. აზრად ნაცუციდით ერთი ბავშვი „ეყოფილა“... და დაირეკა 5 სექტემბერს ნერაქვის სკოლაში ზარი 5 ბავშვისთვის.

18 წლის მერე სკოლაში უკვე 50 ბავშვთან ჩასული საქართველოს პრეზიდენტი იტყვის: „დარწმუნებული ვარ, აქ ბავშვები იზრდებიან საქართველოს დიდი სიყვარულით, იზრდებიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურის ჭეშმარიტ ქომაგებად და ქვეყნის იმ პატრიოტებად, რომელნიც არასადროს და არავის მისცემენ უფლებას ოცდაჩვიდმეტი წელი გაიმეორონ“.

აქ ბავშვმაც იცის, რომ 1937 წელს მისი მინის შვილი, დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი განუკითხა-

ობის მსხვერპლი გახდა. რარივ წაადგება პატარების განათლება ამ ლამაზ შემოდგომაზე, დახვერტიდან 60 წლის შემდეგ სკოლის გვერდით გახსნილი დიდი შემოქმედის მუზეუმი და ძეგლი.

... დღეს ნერაქვის სკოლა აღმავლობის გზაზეა. მას ბევრი გულშემატკივარი და დამზმარე ჰყავს. სკოლას მზრუნველობას არ აკლებს, სახელმძღვანელოებით და სასკოლო ნივთებით ამარაგებს საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სივოცხლისათვის“ პრეზიდენტი ქალბატონი ნანული შევარდნაძე. სოფლის მოამაგეა პოტი იზა ორჯონიკიძე. ბატონ ირიკლი ანდრიაძის თაოსნობით სკოლა კაპიტალურად გარემონტდა, თბილისიდან ნერაქვამდე მასწავლებლებისათვის უფასო ტრანსპორტი დაინიშნა. სკოლას ესმარებიან რაიონის ხელმძღვანელობა, თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა, სამინისტროები.

მაშინ ზემიზე ჩასულმა სკოლის დირექტორი, მწერალი ნოდარ წულეისკირი მისი მოუცლელიობის გამო ვერ შეეგნებე. ამიტომ ჩვენი საუბარი ორი დღის შემდეგ შედგა.

- ბატონო ნოდარ, როდის ჩამორძანდით ნერაქვეში და რა მდგომარეობა დაგხვდათ?

- ნერაქვეში 1992 წელს ჩამოვედი. ერთხანს პედაგოგად ვმუშაობდი. მაშინ სკოლაში 23 მოსწავლე დამხვდა. სოფელში მძიმე პირობები იყო. მშობლები ხალისით როდი უშვებდნენ ბავშვებს სკოლაში. მერე და მერე მდგომარეობა გამოსწორდა.

- როგორია სკოლის აკადემიური მოსწრება?

- რომ ვითხრათ მაღალიაო, არ ვიქნები მართალი. აქაური ბავშვები ოჯახებიდან მოუშზადებენლი მოდიან. ამიტომაც უჭირთ სასკოლო პროგრამის ათვისება. და რადგანაც ჯგუფებში მოსწავლეთა სიმცირეა, თითოეულ ბავშვს მეტ დროს ვუთმობთ, მანამდე ვამეცადინებთ, სანამ გაკვეთილს კარგად არ შევასწავლით.

წელს მე-11 კლასში 11 მოსწავლეა, დაწყებითში - 9, მეშვიდეში - 7, მეექვსეში - 6. როგორ გვიხარია ყოველი ბავშვის შემომბატება! სკოლაში კლასგარეშე მუშაობაა.

– პრეზიდენტის საჩუქარი მხოლოდ გამოზამორებს მოხმარდება თუ...

– რა თქმა უნდა, სხვა მიზნებისთვისაც გამოვიყენებთ. საზამთროდ შემას ვიპარავებთ, შენობის სახურავს შევაკეთებთ. გეგმაში მაქვს კომპიუტერული ცენტრის შექმნა. უმუშეობა ძალიან გვეანუგებს და ამ პრობლემას ადგილობრივი განათებით ვადავჭრით.

პედაგოგებს მიწები დაურიგდათ. 4 პექტარზე სასკოლო ნაკვეთი გვაქვს. მის დასამუშავებლად ტრაქტორი და კომპანიი ვეჭირებდა. სამინისტროში დახმარებას შემპირდნენ.

ამას წინათ პრეზიდენტმა კმაყოფილებით გაიხსენა ჩვენს სკოლაში სტუმრობა და დაავალა სამინისტროებს, უწყებების ხელმძღვანელებს დაეხმარონ წერაქეს... რამხელა იმედია!

– რადგან ბავშვების სკოლისათვის მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხომ არ აპირებთ საბავშვო ბაღის ან მოსამზადებელი ჯგუფის გახსნას? და კიდევ, სკოლას რომ ექიმი ჰყავდეს, ბავშვების ჯანმრთელობას გააკონტროლებდით. თქვენი სოფელი მალაღმობიანია და იქნებ ოოდის ნაკლებობას განიცდიან?

– მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე მეც ვფიქრობ...

რაც შეეხება სკოლამდელ აღზრდას, გადავწყვიტე მოსამზადებელი ჯგუფის გახსნა და ღირსეული

პედაგოგის შერჩევა.

ჩვენთან ძირითადად ახალგაზრდა პედაგოგები მუშაობენ. სკოლის პატრიოტები და პროფესიონალები არიან – ნაწული ლაბაძე, ნელი ხიდაშელი, გინორი ჯანაშია, ლეილა აფრასიძე, ზაირა ჩხუმიანი, მერი დოჭორი, დალი ზრჯონიკიძე, მაია იათაშვილი, მანანა კვიციანი.

– ამბობენ, ადგილობრივი მკვიდრთ ამ ათიოდე წლის წინ სტიქიით დაზარალებული სკანები შემოემატნენო. მიაშვს, როგორ აუშენეს მარნულელეშმა სახლები, მოამარაგეს აუცილებელი ნივთებით. ახლა თურმე მათთან სტუმრობას არაფერი სჯობია, მშვენივრად მოწყვეწენ. 10-12 სული მარტო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. ახლა ისინი ეხმარებიან სოფლის ახალმოსახლეობას. თქვენმა პედაგოგმა დალი ორჯონიკიძემ მითხრა, სკანები რომ არ ყოფილიყვნენ, აქ რა გამაჩერებდა!

– მართალი უთქვამს. მარტო დალის კი არა, ბევრს შეუმსუბუქეს ცხოვრება. ახლა ოჯახი არაა, ბერიც მეწველი ძროხა მაინც რომ არ ჰყავდეს.

– ბატონო ნოდარ! წერაქეს ლამაზ მომავალს უკვე ვხედავ – მთელი საქართველო თქვენთანაა.

ლია კაკაბაძე

მიწიატურა

ყოველი არ განვითარდა...



ქუჩაში გამოსულს იქვე კუთხეში მათხოვარი დამხვდა... ასიოდე ნაბიჯის იქით მეორე თხოულობდა წყალობას... იქვე, მდიდრული „სუპერმარკეტის“ წინ ხელგანვდილი ბავშვი იმედით სასვე

ქუჩებში მოფუსფუსე ადამიანებიდან ათიოდეს მაინც გაუჩნდეს სურვილი უკანასკნელი გაიღოს გასაჭირში ჩაეარდნილი მოყვასისათვის.

ნეტავი რა მოხდება, რომ ახლა ზეცის კარი გაიხსნას და ყველამ თავად გაიგონოს უფლის ხმა – „ყოველი თქვენგან არ განკითხული მე ვიყავი“.

ალბათ, ყველა ჩვენგანს უმაღლვე აღმოაჩნდება სურვილიცა და სახსარიც მათხოვრის განსაკითხავად. უფრო მეტიც; ალბათ თავად უპოვარნიც უჩვეულოდ აფუსფუსელებიან, უნდო თვალეგებში მადლიერების სითბოს ჩაიყენებენ და ერთმანეთს უშურველად გაუნანილებენ ნაწყალობევს...

დღეს კი, უფლის მიერ ნაჩუქარ მდიდარ, ბარაქიან საქართველოში მათხოვართა სიმრავლე და წყალობის გამცემთა სიმცირე მცირე რწმენის შედეგია თუ სუულაც სასჯელი...

თვალებით შეჰყურებდა ნაბიჯებაჩქარებულ გამვლელებს... მეტროსთან კი გული-სამაჩვილებელი ტექსტით ხელში ახალგაზრდა ქალი გამვლელებს ტანსაცმელზე ეპოტინებოდა დახმარების მოლოდინში...

მხოლოდ იქ, ქვემოთ კიბეზე იჯდა მოხუცი ქალი სრულიად უიმიედო გამომეტყველებით, რომელსაც იქვე, თითქოს ისე, ზრდილობისათვის დაედო ფეხებთან პატარა ყუთი.

ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი... ეყოფა კი ღარიბი ქვეყნის უბრალო მოქალაქეს განიკითხოს ორიოდე მათგანი მაინც...

არა მგონია, ახლა აქ, ამ ხალხმრავალ

შვილად აყვანა



„სწავლა სიბერედეგ,“ – თუ ვინმე უთქვამთ, ეს პირველ რიგში ქალბატონ მარინა მირიანაშვილს ეხება, რომელმაც ცხოვრების 24 საუკეთესო წელი ადამიანთა ჯამთელოების დაცვას შესწირა, რამდენიმე საინტერესო პროექტის ავტორი დღეს უორიდიულ განათლებას ეუფლებება, დისერტაციის დაცვას კი ეკონომიკის განხრით აპირებს.

შვილების ჯამთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბუნებამ და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაწყებული მაკონტროლებმა ძირითად პროფესიასზე უარი ათქმევინა მარინას, რომელმაც საზოგადოებრივ საქმიანობას მიჰყო ხელი და იმდენად წარმატებულადაც, საპარლამენტო ქვეკომისიაში მის ადვოკატს სხვა ადამიანს ძნელად თუ წარმოიდგენთ.

კიდევ ერთიც, მარინა მირიანაშვილი თუმცე კი ძირძველი კახელი ქალბატონია, მის ქართულს ოდნავ შესამჩნევი რუსული აქცენტი დაჰკრავს. როგორც ჩვენი საუბრისთან გაირკვა, იგი ...იაკუტიაში, ტაიგაში, რეპრესირებული მოძობლების ოჯახში დაბადებულია და მთელი 12 წელი იმ ყინულეთში გაუტარებია.

– რომ იცოდეთ, ახლაც ხშირად მესიზმრება იქაურობა და მერე როგორ ტკიბილადო, ისე თბილად ეღიმება ქ-ნ მარინას, თითქოს იაკუტელთა იარანგებზე კი არა, კალიფორნიის მზიან სანაპიროზე მესაუბრობდეს...

მაშ ასე, ჩვენი ნომრის სტუმარი პარლამენტის ქალთა და ბავშვთა დაცვის ქვეკომიტეტის თავჯდომარე, პარლამენტარი მარინა მირიანაშვილი გახლავთ.



– ქ-ნ მარინა, თქვენ ქალთა და ბავშვთა დაცვის ოჯახის განვითარების საკითხთა ქვეკომიტეტის თავჯდომარე ბრძანდებით. თავად ვარ მოწმე, რამდენ უსასხროს, ავადმყოფსა და გაჭირებულს ეხმარებით, მაგრამ, ძირითადად, მაინც რას მოიცავს თქვენი საქმიანობა?

– პრაქტიკულად ყველაფერს ჯანმრთელობისა და განათლების სფეროთი დაწყებული, სპორტითა და კულტურით დამთავრებული. კავშირი მაქვს თითქმის ყველა საპარლამენტო კომიტეტთან თუ შესაბამის სამინისტროსთან. უკვე შევიშუშეთ კანონი შევილად აყვანისა და მოქალაქეობრივი აქტივობის რეგისტრაციის შესახებ, ვაშუშავებთ კიდევ რამდენიმეს, ადრე მიღებულ ბავშვთა უფლებების კონვენციასაც ხომ სახელმწიფო პროგრამებითა და კანონებით უზრუნველყოფა სჭირდება.

– ამ ნუშთი რეალურად თუ მუშაობს რომელიმე კანონი?

– სამწუხაროდ ბევრი კანონი ცუდად მუშაობს. თითქოს ურთიერთობები გვაქვს, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლება არად გვაგდებს – შეაყარე კედელს ცერცვიო, რომ იტყვიან, ისე გამოდის. აი მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს ვწერ, ყოველთვიურად გამოიგზავნონ ბავშვების სიკვდილიანობისა და მოძრაობის მაჩვენებელი, ე.ი. თუ გავიღდა ვინმე. რამერე, ვაგდებს ვინმე რამედ?

– ნუთუ არავითარი ზემოქმედება არ შეგიძლიათ?

– ავტომატით ხოლმე ერთ ამბავს, მაგრამ საქმე სადღაც იფარცხება და ყველაფერი მიყუწდება ხოლმე.

– ბავშვთა გაშვილებას კანონზე რას გვეტყვიათ?

– თავისთავად გაშვილება ერთერთი უნიკალური საზოგადოებრივი ინსტიტუტია, რაც ბავშვის ოჯახში განთავსებას ითვალისწინებს და მას სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს. ჩვენი კანონის მიხედვით, ბავშვის მე-

ურვე და მზრუნველი განათლების სამინისტროა, სადაც მონაცემთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკი იქმნება. ყველა საგანმანათლებლო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ხელმძღვანელს ეველებ, შვიდი დღის მანძილზე შეატყობინოს განათლების განყოფილებას ასეთი ბავშვის არსებობის შესახებ. ინფორმაცია ავტომატური ბანკის კომპიუტერში შედის. ერთი სიტყვით, ბავშვი არ უნდა „გაიხდეს“ და სამშობიაროდან ჩვილი კი არა, ცნობა უნდა გავიღვს, რომ დედამ ბავშვი დატოვა.

– ვერ დამაჯერებთ სინამდვილეში ყველაფერი ზუსტად ასე ხდებაო...

– საქმეც ისაა, რომ არა. სამშობიაროები ასეთ ფაქტებზე დღუნა და თუ ატყობინებენ, ბავშვი ან მომაკვდავია ან რაღაც სერიოზული დეფექტი აქვს.

– რატომ არ ატყობინებენ?

– მატერიალური დაინტერესების გამო, თორემ ახა ისე საიდან ხვდებიან ასეთი ბავშვები ოჯახებში?

— ამბობენ ბავშვის აყვანა სამშობლოდან 2000-დან 3000 დოლარამდე ჯამბოა.

— დიხ, სხვადასხვა თანხას ასახელებენ, ზოგი წონის მიხედვით ფასდება, ზოგი — სქესის.

— თუ ბავშვები სამშობლოდან სახლებიდანაც იყიდებიან, ბავშვთა სახლებში როგორღა ხვდებიან?

— იცით, ეს პროცესი ძალიან დიდ საცენოს შემოდინა შეეადგინა, როცა ჯანმრთელი ბავშვები გზადგაბა ქუჩებიან და პაულონ პოლიკლინიკაში, ბავშვთა სახლამდე კი „ქატი“ ანუ ავადმყოფები აღწევენ. და ეს ყველაფერი ისე ხდება, რომ მათ ვერც ხელისუფლება იტყვას და ეარც განათლების სამინისტრო, თუმცა პასუხისმგებლობის დაცვის სამინისტროსაც უნდა მოეთხოვოს, სამშობლოდან სახლები ხომ მას ეკუთვნის. მე კი დაბავშვების შემოდინა მოგახსენოთ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს საქართველოში ადამიანებით ვაჭრობა მიმდინარეობდა და ამ საქმის მესყუერებმა უნდა იცოდნენ, რომ ამა-ზუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არსებობს და იგი უსათხოვრედ უნდა ამოქმედდეს.

— რა ბარიერი შეხვედბა ადამიანს ბავშვთა სახლში, თუ მას შეიღად აყვანა სურს?

— ნებისმიერ ადამიანს ჯანმრთელი ბავშვი სურს, იქ კი ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, ასეთი ბავშვები ან არ არიან, ან ძალზე ცოტა.

— ჩვენთან შეიღად აყვანა დელიკატურ საკითხად ითვლება და საიდუმლოდ ინახება იმ დროს, როცა საზღვარგარეთ მსგავსი პრობლემა არ არსებობს. რამაა საქმე?

— საქმე მენტალიტეტშია. ჩვენთან ბავშვის აყვანა თითქოს ერცხვინებთო კიდევ, იმ დროს, როცა საზღვარგარეთ სიკეთედ და მაღლიან ქმედებათ ითვლება, ხოლო ბავშვის მშვილებელნი საბავშვო მოქალაქეებად ითვლებიან და მათ მთელი ქვეყანა ეძმარება.

— სხვა ქვეყნიდან რატომღა მიჰყავთ ბავშვები?

— იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანაში უპატრონო ბავშვები ნაკლებად რყავთ, იქ ყველა ბავშვი სასურველია, რადგან ოჯახის დაგეგმვა ცოცხელთვის გააზრებულია.

— ჩვენი ბავშვების საზღვარგარეთ გაშვებამ რას იტყოფით?

— ეს პროცესი პრაქტიკულად შეწყდა.

— რატომ შეიღლებოდა და რატომ შეწყდა?

— იმიტომ შეიღლებოდა, რომ ასეთი კანონი არსებობს და მთელ მოსოფლოში მიღებული ინსტიტუტია.

— ჯანმრთელი ბავშვები შეიღლებოდა თუ ავადმყოფი?

— პრაქტიკულად ავადმყოფები, იმიტომ რომ ბავშვთა სახლებიდან მიჰყავდათ.

— რატომღა შეწყდა?

— იმიტომ, რომ ვთქვით, ქართველი ბავშვები საქართველოში უნდა იზრდებოდნენ და მათ სამშობლო უნდა შეეუწარმუნოთ. ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ქ-ნა ნანული შვედერძაძემ.

— მანანა ზავაძეზე რაღას ბეჭეფთ?

— ეს პრობლემა ძალზე ძნელი მოსაგვერებელია, მას კომპლექსური მიდგომა სჭირდება და დარგველობებს უნდა დაიხარჯება. რადგან ჩემთვის ამოსავალი ნერტილი ბავშვის ოჯახში გაზრდა, ამჟამად ვმუშაობ სისტემაზე, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით იქმნება და რომელსაც „გაოჯახება“ ეწოდება. იგი სპეციალურად შერჩეულ ოჯახებში ობოლი ბავშვების ჩასახლება გულისხმობს.

— როგორ გვსახებათ ეს პროცესი?

— ბავშვი ხელშეკრულების საფუძველზე იცხოვრებს ოჯახში თანასწორულდებიან ნვერად, სახელმთფო კი მისი შენახვისათვის ოჯახს ყოველთვის თანხას გამოუყოფს. ეს სისტემა უკეთესად იმუშავებს პერიფერიებში, სოფლებში, სადაც საცხოვრებელი ფართი დიდია და ბავშვიც ვიზიკურ მუშაობას შექმევა. მომავალში, როცა იგი გაიზრდება და სოფელში დარჩენას გადაწყვეტს, სოფელი მას სახლს აუშენებს.

— ხელშეკრულება რა ვადით შეიძლება გადგინდეს?

— სურვილის მიხედვით, ერთი თვიდან რამდენიმე წლამდე. მომავალში ეს მანანაზე ბავშვებსაც შეეხება, თან ისე, რომ ბიოლოგიურ მშობლებს არ დაკარგავენ.

— მსურველები თუ გამოიკრნდათ?

— 200-ზე მეტი ოჯახი, მაგრამ მათ შემინმება და სპეციალური მომზადება სჭირდებათ.

— სრულყოფიანებს რამ მიადნენ, სადა ნაღვლ ბავშვები?

— დასკნით უტაპზე რაღაც კომუნის ან ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის მავგარს მოვიფიქრებთ, შეიძლება მინებიც გამოუფიქრო და დავასახლოთ.

— აღბათ დადგება დრო როცა თქვენ პრაქტიკური აღარ იქნებით. მაშინ სად ნახვალთ?

— ნავალ არასამთავრობო ორგანიზაციებში, საქმის კეთება იქაც ხომ შეიძლება, მით უმეტეს, რომ უმარავი პროექტი მაქვს თავში და თუ ამას ჩემს კახურ სიჯიუტესაც დაუშვებთ, მერ-ნაღვლეთ — ქართველი ბავშვებისა და საქართველოს ქალებისათვის ნებისმიერ ადვილას გავაკეთებ სასარგებლო საქმეს.

ესაუბრა მანანა იმასაშვილი

პატარა, მაგრამ სასარგებლო რჩევები

■ რასაკვირვებია, მხოლოდ ჩვენი ნებაა, რას დავტყუთ, როდის დავნივარდ. მაგრამ, რადგან მაინც არსებობს გარკვეული წესი და თანამიმდევრება, რომელ კერძს რა სასმელი უხდება, მოდიო, ჩვენც გაეთვლიო სისწინით იგი:

■ ბანკეტის წინ მიღებულია მადის აღმძვრელი პერიტივების მირთმევა: შამპანიური, კოქტეილი, მაგარი ღვინო, კონიაკი.

■ საღათებთან და ცივ საუზმეულთან — თეთრი მშრალი ღვინო, ვარდისფერი მშრალი და ნახევრადმშრალი ღვინოები.

■ ზღვის პროდუქტებს — თეთრი მშრალი ღვინო, ვარდისფერი მშრალი, და ნახევრადმშრალი ღვინოები, შამპანიური უხდება.

■ შემწვარ თევზთან უმჯობესია მშრალი ან სამარკო თეთრი ღვინო, ვარდისფერი მშრალი, მსუბუქი წითელი ღვინოები მივიტანოთ.

■ სოუსთან თევზის კერძებთან კი — მშრალი ან სამარკო თეთრი ღვინო, ვარდისფერი მშრალი, მსუბუქი წითელი ღვინოები და შამპანიური.

■ გარეულ ფრინველს — თეთრი მშრალი ღვინო, ვარდისფერი მშრალი, მსუბუქი წითელი ღვინოები და შამპანიური უხდება.

■ ხორციულს — სუფრის ან სამარკო წითელი მსუბუქი ღვინოები უხდება.

■ ხილთან — შამპანიურს და ვარდისფერ სამარკო ღვინოს მიირთმევენ.

■ ტყბილულთან კი — ტყბილ შამპანიურს, სამარკო ღვინოს, ლიქიორს და კონიაკს.

■ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ შამპანიურის, ღვინოს, კონიაკისა და ლიქიორის ტყბილ და სირჩები, უმჯობესია, გამჭვირვად და ერთი სტილისა იყოს — მათში უფრო კარგად აღიქმება სასმელის ფერი.

■ და ბოლოს, ერთი პატარა რჩევა:

■ ბოთლები მხოლოდ მაგიდასთან უნდა გახსნათ. შამპანიურის ბოთლის გახსნისას არსებობს მომრგვალო ფორმის სპეციალური მამა, რომელიც მარცხენა ხელით უნდა გეჭიროთ და საათის ისრის მიმართულით შემოაღებოთ.

■ თუ სასმელიანი ბოთლი უკვე ნაკლულია, ნუ მიიტანთ მაგიდასთან. უმჯობესია სასმელი გრაფინში გადაიტანოთ.

ძვირფასი ბექდის, ფარულის ან საათის შექმნისას ნუ იჩქარებთ მათ გამოშვებულებას, რადგან ახალი ნივთით თავმონონება მარტო ოქროს ხარისხსა და ძვირფასი ქვის სიდიდეზე კი არა, იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად ოსტატურად შეგიძლიათ მისი ტარება.

ბექდები

თხელ, პატარა ბექდებს არაითისა და შუათითი იკეთებენ.სავსებით შესაძლებელია მათი საქორწინო ან სხვა მსხვილ ბექდებთან ერთად ტარება. დიდი მასიური ბექდები, როგორც წესი, შუათითს და, იშვიათად, საჩვენებელსაც უხდება. არსებობს კიდევ ერთი - დიდი, ოთხკუთხა ფორმის ბექედი, რომელსაც მხოლოდ ნეკზე იკეთებენ.

საყურეები

გრძელი ან მსხვილი საყურეები ყველაზე მეტად ოვალური სახის მქონე ქვბატონებს უხდება და, ტრადიციულად, მოლიავებულ კაბებთან იკეთებენ. ფართო სახის პატრონებმა, უმჯობესია, მომცრო ზომის საყურეები ატარონ. უნივერსალური ვარიანტია - თელიანი ან მარგალიტის ე. წ. „ლურსმნები“.

ყელსაბამები, ფარულეები, მანიაკები

ეს სამკაულის ისეთი სახეობა გახლავთ, რომელსაც მხოლოდ დეკორატიულ იკეთებენ და განსაკუთრებით ეფექტურად ზურგამოღებულ კაბაზე გამოიყურება. ფარულის ყელის სხვა სამკაულთან ერთად ტარება დაუშვებელია და, როგორც წესი, მას მხოლოდ საყურეებთან ერთად, ე. წ. „გარნიტურში“ იკეთებენ.

სამაჯურები

თვლიან ან უთვლო მასიურ, ფართო სამაჯურებს შიშველ მაჯებზე ან ძალზე მჭიდროდ შემოტყეცილ სახელოზე იკეთებენ. ერთდროულად რამდენიმე სამაჯურის ტარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი თხე-

ლი ან, სულაც, წვრილი ძენკვისაგან შედგება. ნებისმიერი ფორმის საკიდარებიანი სამაჯური კი აუცილებლად თავისუფლად უნდა სრიალებდეს ხელზე.

ჯაჭვები (ძენკვები)

კულონიანი ან უკულონო წვრილი ძენკვის ტარება ტანსაცმლის ზემოდანაც შეგიძლიათ და შიგნითაც. შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ძენკვიც ჩამოიკიდოთ, თუ მათი სიმსხო და სიგრძე დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მასიური, გრძელი ჯაჭვები პრაქტიკულად ყველა ტანსაცმელს უხდება, მაგრამ მათი დეკორატიუმი გაკეთება მიღებული არ არის.

საათები

ტყავის სამაჯურიანი საათი მჭიდროდ უნდა ეკვროდეს მაჯას. ლითონის, მეტალის სამაჯური კი პირიქით - თავისუფლად უნდა კონიალობდეს ხელზე. სავსებით შესაძლებელია მისი სხვა, თავისუფალ სამაჯურებთან შეწყვილება.

საერთო წესები:

1. ბიუტეტერიისა და საიუველირო ნაკეთობათა ერთდროულად ტარება ცუდი ტონის მაჩვენებელია.
2. ასევე არ შეიძლება სხვადასხვახატის სამკაულთა შეხამება. მაგალითად:გომეტრიული ფორმის კულონიანი ძენკვის, ყვავილის ფორმის საყურეების და მწერისმაგარი გულსაბნევისა.
3. კარგია თუ ერთნაირი ტიპის საყურეები, ყელსაბამი და სამაჯური მსგავსი ლითონისაგან იქნება დამზადებული. იდეალური ვარიანტია - რამდენიმე სამკაულისგან შემდგარი „გარნიტური“.
4. კლასიკური წესების მიხედვით, ოქროსა და ვერცხლის ნივთების ერთდროულად ტარება - ცუდი ტონის მაჩვენებელია.
5. ხოლო ოქროსა და პლატინის, ან სხვადასხვა ხარისხისა და ფერის ოქროს სამკაულების კომბინირება - სავსებით მისაღებაა.

შპსრანის შიშველ მაჯებზე ან ძალზე მჭიდროდ შემოტყეცილ სახელოზე იკეთებენ. ერთდროულად რამდენიმე სამაჯურის ტარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი თხე-



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასანყობად 20. 10. 1998 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.12.1998 წ.
ქალაქის ზომა 60X90/8,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8 ტირაჟი - 900
შეკვეთა № 1499

უცხოური იუმორი

